

# ლიტერატურული გაზეთი



№19 (275) 16 - 29 ოქტომბერი 2020

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი



## რუსხია

როსტომ ჩხეიძე  
ზვიად კვარაცხელიაზე



## პროზა

ბექა ქურხული  
პაატა ნაცვლიშვილი  
უჩა მიშველიძე  
ზურაბ ლავრელაშვილი



## პოეზია

დათო მაღრაძე  
მანანა ქურდაძე  
გიორგი ბალახაშვილი



## თარგმანი

მარინა ცვეტაევა  
თარგმნა ოთარ ცისკაძემ





სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს უფრო მეტს ვინემ დიდი მსჯელობა:

გალაკტიონ ტაბიძე არა გულისხმობდა მარტოდენ სიმბოლისტურ ესთეტიკას. არა გულისხმობდა მარტოდენ თავისი სიტყვის განსაკუთრებულობას.

საერთოდაც წარმოაჩინდა სიტყვა-ნაწყვეტის მნიშვნელობას, გაელვებული ფრაზის, თუნდ დაუმთავრებლის შინაგან მუხტსა და სივრცესაც კი, თითქოსდა სხვათაშორის წამოსროლილი სიტყვების იდუმალეობას, ხან — და ხშირადაც — ვრცელ მსჯელობებსაც რომ გადაწონდნენ.

თამაზ ბიბილოვი მოინდომებდა გალაკტიონის ამ აფორისტული სტრიქონის თავისებურ ხორცშესხმას, როდესაც იმგვარ ფრაგმენტთა სერიას შექმნიდა, თითქოსდა სასხვათაშორისო ფრაზებს რომ უნდა აეგო სილუეტის კონტურები, ხან სილუეტი და სულაც პორტრეტი: ნაკუნს, ნაგლეჯს, ქარს გატანებულს.

თურმე შეგეძლო ქარისათვის არ დაგენებინა.

განა სილუეტი თუ პორტრეტი ხშირად სწორედამგვარი ნაკუნებით არ იქსოვება ხოლმე?

მათი ერთიანობა სხვაა, ერთმანეთზე მიდგმულნი რასაც აღწევენ, ეს სხვა გზაბილიკია.

აბა, ცალკე რა შეუძლიათ? ნაკუნებად დარჩენილი რას გამცნობენ, საით გაგიძღვებიან, რა სიღრმეში ჩაგახედებენ?!

არადა თურმე...

და გენახება თამაზ ბიბილოვის ის ნაწყვეტები, ასეთი სახიერი, ასეთი მოხდენილი და გულშიჩაწვდომი, გრძელ ფარულად რომ ველარ გადაიჭიმებოდა სილუეტთა გალერეა და ფრაზათა მცირე რაოდენობა უნდა გვეკმარა.

არადა ხელშესახები დასტური, რომ: სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებდა უფრო მეტს, ვინემ დიდი მსჯელობა.

საბედნიეროდ ამავე განცდით, ამავე სწრაფვით უნდა აღვსილიყო ზვიად კვარაცხელიას ლიტერატურული ინტერესებიც და წიგნად თავმოყრილ სილუეტთა გალერეას საფუძვლად დასდებდა ფრაზები, ნაკუნები, გაელვებანი, გალაკტიონის ლანდის რომ ამოისვეტებოდა სახელწოდებაში: „დარეკე! დაუბარე!“ („ინტელექტი“, 2020) — ექოების კრებულად განზრახული, მართლაც რომ ყოვლისა ნახმების მოხელთების მცდელობად.

ეს ფრინველები უფრო ხშირად მარადისობის საზღვრებს, საიქიო-სააქიოს ვეზიბრებს დასტორიანებზე?

წინო სადღობელაშვილი ჩვეული ხელოვნებით დაწერილ ანოტაციაში აკვალანებს მკითხველს, რომ:

— სწორედ ეს ექოები ისმის ზვიად კვარაცხელიას ახალ წიგნში ისევე მკაფიოდ, სულისშემძვრელი სევდითა და თვალუწვდენელი იმედით, როგორც ეს მხოლოდ ყოვლისა შეუძლიათ.

წინანდობლივია, კრებული ავტორის დიდებას რომ ეძღვნება — ვარო თოლორაიას, რომელსაც შეეძლო სიმარტოვესთან მგელივით გამკლავება.

სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს...

გალერეა უნდა გაიხსნას ოთარ ჭილაძის სახეობით, მისი სტრიქონებით ავტობიოგრაფიული რომანიდან „აველუმი“:

— მოცლილი მკითხველო... არავინ იცის, რა მოხდება ხვალ. ხვალ კი არა, დღეს რა მოხდება, ის არ ვიცი, არ ვიცი, ერთი საათის მერე ცოცხლები ვიქნებით თუ არა საერთოდ...

და ისე მოხდებოდა, რომ როდესაც მიაკუდავა ამ პასაჟს კითხულობდა გამთენიისას: ცოცხლები ვიქნებით თუ არაო — ოთარ ჭილაძე ზუსტად იმ დროს გადაინაცვლებდა მიღმა სამყაროში...

ბაჩანა ბრეგვაძე რომ გაიხსენებდა, რამხელა ტანჯვა-წვალეა გადაეტანა დიდებულ ფილოსოფოსთა ნახევრის თარგმნისას და კომენტარებისას, პლატონი იქნებოდა თუ პლოტინი, მარკუს ავრელიუსი თუ ფსევდო-ლონგინე, ნეტარი ავგუსტინე თუ ბლეზ პასკალი, რენე გენონი თუ პოლ ვალერი, სვამი ვიეკანანდა თუ... და ვინ აღარ, მოადევნებდა, რომ „დონ კიხოსის“ თარგმნისას ისეთი სიამოვნება განეცადა, ისეთი სიხარული, სხვა არცერთი თარგმნის პროცესში რომ არ უგრძენია:

— მარტო ვიჯექი და ვიცინოდი. მერე ვიფიქრე, ვინმეს გიჟი არ ვგვგონო-მეთქი, მაგრამ თავის შეკავებაც მიჭირდა. ჩემთვის ჩუმად ვიჯექი და ვიცინოდი.

და არიანე ჭანტურისაგან ამ შემოთავაზებას რომ მოისმენდა:

— მამაჩემის არქივში იონა მეუნარგიას დღიურები ვიპოვნე, გამახსენდა, რომ თქვენ გამოსცემთ მის მრავალტომეულს და გამოგადგებათ.

ყურადღებას მიაქცევდა ზვიად კვარაცხელია, რომ: ეს „თქვენ“ იმისაგან მხოლოდ ოფიციალური, საქმიანი დამოკიდებულების ხაზგასმა არა ყოფილა. კერძო ურთიერთობაში, პირად ამბებზე საუბრის დროსაც ერიდებოდა გაშინაურებას და ამით თავსაც იცავდა და მოსაუბრესაც უფრთხილდებოდა — ეტყობა არა სურდა ამათუიმ ადამიანზე შექმნილი წარმოდგენის დანგრევა, მართლაც ასე რომ გახშირებულა ჩვენს დროში.

თამაზ ჭილაძე ოთარს ერთ ნაჩუქარ წიგნზე ასეთ წარწერას რომ გაუკეთებდა:

— დიდ ძმას უფროსი ძმისაგან!

— ეს რა არის? — იკითხავდა ის გაცებული.



— არაფერი, სიტყვების თამაშია, — მიუგებდა, არადა მაშინ პირველად უნდა გამოეთქვა და ელიარებინა ის, რასაც დიდი ხანია ფიქრობდა, ალბათ ოთარის პირველი ლექსების ნაკითხვის შემდეგ.

რევაზ სირაძის სადა, ღრმა და ლაკონური წარწერა ნაჩუქარ წიგნზე ხშირად გაუჩნდა სურვილს ზვიად კვარაცხელიას, მისი სიტყვებით დაენერა ის მიძღვნა, რომლითაც ძვირფას და პატივსაცემადამიანებს წიგნს უსახსლოვებდა. და წინანდობლივია, რომ მისადმი მიძღვნილ წიგნებზე რა თუ ექოს ასე რომ დასასათაურებდა: „რევაზ სირაძეს, გულითადობით“.

კომანში მოწამებრივად აღსრულებული მამა ანდრია ყურაშვილი იმ სიტყვებით უნდა გამოგიცხადებოდა, ტაძრის ეზოში შეცვნილი მეომრების შეკითხვაზე:

— ვისია ეს მიწა, ქართველებისა თუ აფხაზების?

მშვიდ და მისთვის საბედისწერო პასუხს რომ გაცემდა:

— ეს უფლის მიწაა.

ორი ჟურნალისტი — ლია ტოკლიკიშვილი და შორენა ლებანიძე — ქანცისგამცლელი განე-გამონევის შემდეგ თვითმფრინავის სალონში რომ შეაღწევდა, ვილაც უხეშად უბიძგებდათ და ხელის ერთი მოქნივით ძირს ჩამოყრდნობდა და ტრაპის ასასვლელთან მდგარი ჯარისკაცებიც მკვახე პასუხით მოიცლილებდა:

— ადგლი არ არის.

ორიოდე საათის შემდეგ „7 დღის“ რედაქციაში დაბრუნებულებს ფაქსით უნდა მიეღოთ ცნობა ბაბუშქერას აეროპორტში, დაშვებისას, ჯარისკაცებით სავსე „ტუ-154“-ის აფეთქების თაობაზე.

გამოტოვებული ზარის სევდას უნდა შემოჰყვეს დავით კახაბერის ლანდი, ცხენიდან ჩამოვარდნისაგან გამონვეულ ყველაზე სუსხიან ტკივილს კი — პაპისა...

დავით კახაბერი რომ დაურეკავდა, ვერ მოუხერხებდებოდა პასუხის გაცემა და ზუგდიდობად თბილისში გვიან ღამით ჩამოსული ფეხბურთში აღმოაჩნდა დათოს ფოტოსა და გამოსამშვიდობებელ ტექსტს. და ძალიან, ძალიან დაწყებოდა გული, რომ მისი უკანასკნელი სიტყვები ვერ მოისმინა.

ანდრე ყიფი თარგმნაო, ყყენი იონესკოო, მიშელ უელბეკიო... ბევრი ნიჭიერი

ახალგაზრდა გამოიყვანა ლიტერატურის ასპარეზზე. დრო რომ გავიდოდა, უფრო მეტად დაფასდებოდა მისი საქმეც, ამ დაფასებაში ზვიადიც რომ მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ რა მოარჩენდა იმ უპასუხო ზარის ტკივილს?!

ამ მემუარისტულ ჩანახატში ხელშესახებად იხატება არამარტო დავით კახაბერი, არამედ ამ ჩანახატის ავტორიც.

ემაყებოდა რენე კალანდიას და ზვიად კვარაცხელიასაც გაუზიარებდა, ერთ მწერალს რომ ეთქვა მისთვის: გამიხარდა, მწერალთა კავშირიდან ჩემს გარიცხვას ხელი რომ არ მოაწერეო.

და რენეს პასუხად:

— ვინმეს გარიცხვას რომ ხელი მოვანერო, მერე იმ ხელით ლექსი როგორღა უნდა დავწერო.

თუმც სიხარული ის იქნებოდა თუ იქნებოდა, დავით წერედიანის პოეტურ კრებულში „ორიონი“ მისადმი მიძღვნილ ლექსს რომ აღმოაჩნდა. ჯერ ისედაც, და

ენიჭება, რადგან ლევან ლეონიძის ცხოვრების წესიც სამაგალითო გახლდათ, სწორედამგვარი მისი მეცნიერული ღვაწლის შესახებ ერისი.

ალპინიზმი უმსხვერპლოდ შეუძლებელიაო — გურამ თიკანაძის დღიურის ამ ჩანახატში ზვიად კვარაცხელიას ამ ფოტოხელოვანისა და ალპინისტის წინათგრძობა უნდა ამოეკითხა, 30 წლის კაცი, ასე ნაადრევად აღსრულებული, 15 ნეგატივს რომ დაგვიტოვებდა ფოტომეცნიერობად.

ხოლო გამოფენის საინფორმაციო ტექსტშია აღნიშნული ჩვეულებრივი ფრაზა: — ურთულესი მარშრუტის დროსაც ახერხებდა გადაელო მხატვრული ფოტოები. ძალდაუტანებლად აგრძნობინებდა, რომ:

გურამ თიკანაძეს შეეძლებოდა არა მხოლოდ ყინულის ლოგინში (მურმან ლეონიძის მეტაფორა) გმირული სიკვდილი, არამედ თავისი საქმით, შემოქმედებით ყოფილიყო დაუფინყარი.

გახსენებულა ის ეპიზოდიც, ოთარ

როსტომ ჩხეიძე

შორეულ ნახევრითა იდუმალება

მითუმეტეს — მარტო მას, რენე კალანდიას რომ უძღვნიდა მთელს წიგნში, მხოლოდ მას რომ გამოარჩევდა ამდენ პოეტთაგან.

„ქართული მწერლობის“ გამოცემისას გადაწყვეტდა, თებერვლის ნომერი წითელი, სისხლიანი თებერვლისათვის დაეთმო, ოღონდ სურდა ორიგინალური ფორმისათვის მიეკვლია და... კიდევ მიაგნებდა:

უნდა ჩაენერა რეპრესირებულთა შვილები, ოღონდ მნიშვნელობა არა ჰქონდა, მათი მამები ეროვნულ, სახელმწიფოებრივ იდეალებს შესწირვოდნენ თუ უბრალოდ საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი ჩინოვნიკები გახლდნენ, რომელთაც თებერვალში მოსული ხელისუფლება ბოლოს მაინც სასტიკად გაუსწორებოდათ.

ამ ჩანახატთა ციკლში მარგალიტივით უნდა ებრწყინა რუსუდან ჯავახიშვილის მიერ საოცარი ემოციით, დადრითა და ნოსტალგიით მოყოლილ ამბავს.

ქვიშხეთში აიყვანდნენ ჩეკელები მიხეილ ჯავახიშვილს, და მისი ცოლ-შვილი თბილისში რომ დაბრუნდებოდა, ბინა დალუქული დახვდებოდათ. შვიდი წლის რუსუდანი ვერ გაიგებდა, რატომ ცხოვრობდნენ ორ თვეს აივანზე, რატომ დაუტოვებდნენ მხოლოდ ერთ ოთახს და მათ სახლში რატომ უნდა ეცხოვრა სხვას.

და მთელი ცხოვრება იწუხებდა და დარდად გამოჰყვებოდა, ძალიან გვიან რომ გაჩნდებოდა და თავის დასავით, ქეთევანით ახლოს არ იქნებოდა მამასთან. და კლასიკოსისა და სახელგანთქმული მწერლის შვილი რომ გახლდათ, ეს მაინც სევდანარევი სიხარული იქნებოდა რუსუდანიისათვის.

ხოლო იმ ფრაზას, ჭაბუა ამირეჯიბი რომ წარმოთქვამდა მსახიობის ამპლუაში კინოფილმში „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, არც მის პირველწყაროში რომ არ ეწერებოდა, რომანში „პორი-აყი“, და არც ერლომ ახვლედიანის სცენარში, შემოქმედებით ჯგუფს ოთარ ჩხეიძე მინანდილა გადაღების პროცესში, როდესაც საჭირო გახდებოდა მოუფიქრებიათ სხარტი, მახვილი, ეპოქალური ფრაზა, რომელიც სიმბოლურად ასახავდა ბოლშევიკურ-კომუნისტური სისტემის ძალადობასა და მის წინაშე დარჩენილი განწირული ადამიანების ხვედრს:

— მაინც ვკვირდები მიზეზი...

ისიც ეპოქალური ფრაზა იქნებოდა, ლევან ლეონიძე, დიდად ღვაწლმოსილი და კეთილშობილი პიროვნება, თავის ძმას გიორგისა და ტიცინან ტაბიძეს რომ ეტყოდნათ, მათი კომპრომისებით გულნატკენი და გაბრაზებული:

— უკადრის რომ ჭამთ, ჭამეთ, ღმერთმა შეგარგოთ, მაგრამ მერე ნულა იძახით: იფ, იფ, რა გემრიელი არისო.

ეს გაუზიარებდა პიროვნება, საბჭოთა ტერორის მსხვერპლი, კვლავ რომ დაუბრუნდებოდა ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებას, ამას ზნეობრივი მნიშვნელობა

ჩხეიძის ნოველების მინიატურულ წიგნზე — „მიწა“ — მუშაობისას სტამბიდან რომ ამცნობდნენ: დაბეჭდვისათვის აუცილებელია გვერდების კონკრეტული რაოდენობა, რომელიც 32-ის ჯერადი იქნება, ამისთვის კი უსათუოდ ოთხი გვერდი უნდა ამოაკლდეს წიგნსო.

და მე რომ დამირეკავდა, ვეტყვი: — თავში მამაჩემის ფოტოსა და ბოლოს სარჩევს უნდა შეველიოთ.

ისევე ასე ვამჯობინებდი, ვიდრე ერთი ნოველის ჩანაცვლებას მეორეთი.

ოღონდ მთავარი ისაა, რაც ამის შემდეგ მითქვამს:

— ახლა საოცარ რამეს გეტყვი, შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ უნდა დამიჯერო, რომ ჩვენი ეს საუბარი სამი დღის წინათ სიზმარში ვნახე.

ზვიადი მონუსხული დამიგდებდა ყურს, ჩემი მხრივ კი დავაზუსტებდი:

— ოღონდ ცოტათი განსხვავებული იყო ის საუბარი დღევანდელისგან — შენთან ვიყავი გამომცემლობაში მოსული, თვალში გიყურებდი და გარწმუნებდი, რომ ოთხი გვერდის ამოღება არაფერს დაუშავებდა წიგნს.

ასეთივე ამბავი ნოდარ შამანაძესაც გადახდებოდა, 1972 წლის 3 თებერვლის დღიურის ჩანახატი მისი მემუარების სამტომეულში — „აკრეფილი თათავები“ — რომ შევიდოდა, იქიდან შევიტყობოთ:

„ცისკარში“ მოთხრობას რომ მიიტანდა — „ხათრიანი კაცი“ (მოგვიანებით რომანად რომ აქცევდა) — არ დაადგებოდა საშველი მის ნაკითხვას. და ერთ ღამეს დაესიზმრებოდა ოტია პაჭკორია, რომელიც ეტყობა:

— იუმორით კარგადაა შეზავებული. უკვე რედაქტორს გადავეცი.

და მეორე დღეს რედაქციას რომ მიაკითხავდა, ოტია ზუსტად იმას გაუმეორებდა, რაც წუხელ სიზმარში ეთქვა... და გაოცებულს დატოვებდა.

ან ის სიტყვები, პაატა ჩხეიძე თავაზიანად რომ შეუსწორებდა ჯანსუღ ჩარკვიანს:

— თქვენამდე ვახტანგ ჭელიძემ გამოიყენა „პო კაი“ ინგლისური „ოქეის“ შესატყვისად ჯერ კიდევ როდის, ჯერომ სელინჯერის რომანს რომ თარგმნიდა.

ანდა ლექციისას ზურაბ ცხონდიას მონოლოგი ქვეცნობიერზე, სადაც პირველივე წინადადებაში მიახვედრებდა სტუდენტებს, რაღაც ძალიან რთული რომ ელოდათ წინ:

— დაანანერეს ადამიანის ფსიქიკა ფროიდმა, იუნგმა, აქეთ დოსტოევსკიმ, ტოლსტოიმ, ჯოისმა, ფოლკნერმა... — მერე ეტყობა აღარ ეყოფოდა მეტაფორები, — დოხის, ფია-ფიათ ეკიდეს! ქვეცნობიერი, არაცნობიერი, კოლექტიური ცნობიერება, ცნობიერების ნაკადი და მუში ნაულა!

ანუ: რაც კაცობრიობის მოაზროვნებმა ვერ ახსნეს, თქვენც ნუ გამოედევნებითო. ექოებს მოაქვთ შორეული ხმები, რაღა აღარ მოაქვთ ექოებს... უფრო მეტი, ვიდრე დიდ მსჯელობას...



ვახტანგ ჯავახიძე წლების წინათ სიმონ ჩიქოვანისა და მარიკა ელიაშვილის სიყვარულს ლექსს რომ მიუძღვნიდა და სათაურადაც და რეფრენადაც ამ სიტყვებს გამოიყენებდა: „ოღონდ ხელი არ გამიშვა“ — ახლა, მეუღლის დატოვებისას: „ელეგია: ყელსაბამი“ — რამდენიმე ადგილას იმ ლექსზე მიახლოებდა:

— ხელი ჩამჭიდე, აღარ გამიშვა და მიმიყვანე ნაცნობ ხატებთან.

— ისე დამძიმდა შენი ხელკავი, ვეღარ გავბედე ხელის გაშვება.

ზვიად კვარაცხელიას ეს გადაძახილი რომ არ გამოჩნდებოდა, ელეგიას კი, რომელიც მკითხველს ასერიგად ააღელვებდა, ააფორიაქებდა და თითქოს გააერთიანებდა კიდევ, შეაფასებდა, როგორც თანამედროვე ლიტერატურისათვის უპრეცედენტოს, რაკილა ერთ ლექსში თავმოყრილიყო დიდი, მრავალწლიანი პოეტური და ცხოვრებისეული გამოცდილება, და კლასიკური და ექსპერიმენტული ფორმებით მოთხრობილიყო რეკვიემი რომ წარმოდგებოდა ორი ადამიანის — ქალისა და მამაკაცის, ცოლ-ქმრის ურთიერთობის ბრწყინვალე ილუსტრაციად.

ათონია პაჭკორიას ცხედარი კი ასე უნდა დამახსოვრებოდა:

თითქოს ჯაფისაგან დამსკდარი და დარეგვილი ორი მტევანი იწვებოდა კუბოში, როგორც მინიდან ამოგლეჯილი ფესვი, ჯერაც ცოცხალი და მოცახცახე.

ხოლო დათო თოლორაიას გახსენებას მძაფრად უნდა შეეგრძნობინებინა ის საკითხავი: ოცი საუკუნე რომ გავიდა, არადა მაინც გვგონია, სხეული თუ ქრება, ადამიანის ნიშანწყალიც არ უნდა დარჩესო.

და კაკო თოლორაიას რომ ჰყვარებოდა იმ სტრიქონების შემოძახება სუფრაზე: იცოდეს, ყველამ იცოდეს, ღვინის ტრფიანი როდი ვარ, მე სიყვარულის ლოთი ვარ და ახლაც, ფეხარეული, შენი სახლისკენ მოვდივარო, — ზვიად კვარაცხელიას უნდა აღმოეჩინა, რომ ეს ლექსი 16 წლის ოთარ ჭილაძეს დაენერა და... ვინ იცის კიდევ რამდენი კეთილი კაცის ცხოვრების საგალობლად ქვეყლიყო.

საგანგებოდ მიაქცევდა ყურადღებას კურტ ვონეგუტის იმ ესეის, რომელშიც ამერიკული მწერალი ჩამოთვლიდა არამცთუ თავის მეგობრებს, ამხანაგებსა და ნაცნობებს, არამედ მათაც, რომელთაც ერთხელ შეხვედროდა. მხოლოდ ჩამოთვლიდა — ეს იყო და ეს. და რარიგ მოენონებოდა ზვიად კვარაცხელიას:

რა კარგი იქნებოდა, ყველა რომ ასეთ პირად საძიებელს აკეთებდეს, რაღაც სულის მოსათქმელი და ტკბილ-მწარედ გასახსენებელი ამბებიც მეტი დაგროვდებოდა და ნიჰილისტებს რომ მთლად უდაბნოდ წარმოუდგენიათ ჩვენი ცხოვრება/მწერლობა, მთლად ეგეთი უდაბნოც არ იქნებოდაო.

მარგარეტ ტეტჩერის შესახებ გადაღებულ კინოფილმში „რკინის ლედი“ ქმარი რომ ეტყოდა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს: მთელი ცხოვრება მაინც მარტო იყავიო — ზვიად კვარაცხელიას უნდა ნამოჰგონებოდა ის სიტყვები, 2009 წლის ივლისში, გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე რომ ესტუმრებოდა ოთარ ჭილაძეს და მისგან მოისმენდა:

— როგორც უნდა მოინდომოს, რამდენიც უნდა ეცადოს, ადამიანი ბოლოს მაინც მარტო რჩება.

ან ის სიტყვები რატომ უნდა დაკარგულიყო, ნესტან ფიფიასათვის რომ ეთქვა ერთ ნაცნობ შვილმკვდარ დედას:

— ორ რამეზე არ უნდა იტირო: რასაც ეშველება და რასაც არაფერი აღარ ეშველება.

ან ანაიდა ბოსტანჯიანის უზარმაზარი ენერჯია რატომ არ უნდა გვეოდნოდა — დიდიდან შუალამედე რომ შექმლო შეუსვენებელი მუშაობა — და ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭიც და უამრავი სასიკეთო ჩანაფიქრიც ექნებოდა; და ჩვენც რატომ არ უნდა გვწყდებოდა გული: სწორედ მაშინ, როცა ასეთი ნაპერწკლების გაღვივება საჭირო, ისინი სამუდამოდ რომ ჰქრებოდნენ.

ისე მოხდებოდა, რომ ლანა კალანდიას მიერ თარგმნილი წიგნის ფრაგმენტებს პირველად ეს ორი ადამიანი უნდა გაცნობოდა: გენო კალანდია და ზვიად კვარაცხელია — და მარიო ვარგას ლიოსას რომანის — „ქალაქი და ძაღლები“ — კითხვის

პროცესით ალტაცებულ, შეძრწუნებულ, გაოგნებულ გენოს ეს განცდები ზვიადთან უნდა გადმოეღვარა... და როდესაც მაისის მინურულს, თბილისის წიგნის ფესტივალზე, ამ რომანის წარდგენისას, მის ეპოქალურ მნიშვნელობასა და მთარგმნელის დამსახურებაზე ისაუბრებდა, ზვიადს მოულოდნელად უნდა ჩასახლებოდა ფიქრი იმ კაცზე, რომელსაც — ყველას თანამგრძობსა და გულშემატკივარს — არ დასცალდებოდა თავისი შვილის მიერ გაკეთებული დიდი საქმით ტკბობა და სიხარული.

და დააკლდებოდა გენო კალანდიას დილაადრინანი ემოციური შთაბეჭდილებანი, მისი გამამხნეველები სიტყვები და შეგულიანება კარგ საქმეთა საკეთებლად. და ეჭვიც აღარ შეეპარებოდა, რომ:

სხვა ბევრ სიხარულსა და მწუხარებასთან ერთად, ნაუკითხავი წიგნის სევდაცა და მისგან მოგვრილი განცდებიც წაელო იმქვეყნად ახალი დროის რელიგიური ლოცვათა ავტორს.

ზვიად კვარაცხელიას კი სანაწურად დაურჩებოდა, რომ ლეილა ბეროშვილს, ამ უძვირფასეს ადამიანს, პირადად ვერასოდეს გაიცნობდა და მხოლოდღა ტელეფონით თუ ესაუბრებოდა, და იტოვებდა იმედს, რომ ერთხელაც იქნებოდა პირადად და შეხვედებოდა და ეტყოდა, თუ როგორ მოსწონდა მისი მოთხრობებიც, ჩანაწერებიც, მისი პრინციპული მოქალაქეობრივი პოზიციაც... მაგრამ ეს დრო აღარასოდეს დადგებოდა...

ხოლო თუ რაიმე ხიბლავდა გურამ რჩეულიშვილის პიროვნებაში, მისი საოცარი შემოქმედებითი ნაყოფიერება, ყველა ადამიანს რომ გაუჩნდა სურვილს, თავაუღებლად ეშრომა და სიტყვად ექცია ყველაფერი, რაც ხელთ მოხვდებოდა. არაფერი გამოორჩენოდა, გაფრთხილებოდა და შეენახა წვრილმანიც კი. და აქ დაინახავდა გურამ რჩეულიშვილის უწყვეტი ფიქრისა და შრომის საიდუმლოს.

უეცრად აქეთ გადმოინაცვლებდა და 2013 წლის ფრანკფურტს გაიხსენებდა, პირველად რომ მოისმენდა ქართველი პოეტისაგან — ზვიად რატიანისაგან — უცხო ენაზე ნაკითხულ საკუთარ ლექსს და ასეთი კარგი შთაბეჭდილებაც დარჩებოდა. სუფრაზე ერთად მოხვედრისას კი ზვიადს თავის იმ ლექსს რომ გაახსენებდა: ჩვენ, ვინც არასდროს გამოვალთ გარეთ და ხმას არასდროს გვეუფრთებთ მშობრის რაინდებსო — და ჰკითხავდა რაინდთა ვინაობას, იმას ეს ოთხი უნდა ჩამოეთვა: მერაბ კოსტავა, ზვიად გამსახურდია, ვია ჭანტურია და ირაკლი ნერეთელი.

რენტგენოლოგ ნიკა ქირიას ერთი ცნობილი აკადემიკოსი თავის ფუნდამენტურ ნაშრომს რომ აჩუქებდა ასეთი წარწერით: ქართული რენტგენოლოგიის პატრიარქ-

სო — ზვიად კვარაცხელიას ამ წარწერაზე მეტად ის პატარა, კაპასი ძალის დაამახსოვრებოდა, პატრონს მუდმივად მანქანაში რომ ეჯდებოდა და ღრენით ხვდებოდა ყველას — დაუპატიჟებელ სტუმრებსაც და მათაც, რომლებზეც ეჭვიანობდა, ვაითუ პატრონის ერთგულებაში შემეცილონო.

და დალი ფანჯიკიძის სიტყვებიც უნდა ნამოჰგონებოდა, გამომცემლობებიდან რომ უგზავნიდნენ თომას მანისა და მაქს ფრიშის ახალგამოცემულ წიგნებს, და გაცემული უყურებდა, განსაკუთრებით თომას მანს, და უევირდა:

— როგორ მოხდა, რა ძალამ გადამაგორებინა ეს მთები, ეს წიგნები...

და უეცრად თავისი მეორე წიგნი — „ქარაგმა“ — უნდა გახსენებოდა, ქართულ-ევროპულ ინსტიტუტს რომ უნდა გამოეცა და რედაქტორთან — ლია ნაროშვილთან — ერთად მთელ ტექსტს გაასუფთავებდა, მაგრამ... კორექტურული შეცდომა მაინც გაიპარებოდა, სატიტულო გვერდზე ასე ეწერებოდა: გამომცემელი ჯანრი კაშია.

ის რომ შეიტყობდა, აქეთ დაამშვიდებდა ზვიადს:

— არ ილეუო, ეგ არაფერია... მოიცა, როგორ წერია? გამომცემელი? — და ჩამოჰყვებოდა, — გამომცემელი, გამომცემელი, გამომცემელი, კათაკმეველი... კარგია, რა გინდა.

და კიდევ ერთხელ ჩაერთვოდა ექოთა მოზაიკას სინანულის განცდა, სულ რომ ეპირებოდა და ვერადავერ დაენერა ჯემალ მონიავას მოსაგონარი, დიდებული კაცის, დაუზარელის, უშურველისა და გულიანის, მისი ნიჭიერება ხომ კიდევ ცალკე — თეატრშიც და ლიტერატურაშიც.

— სად დაიკარგე, მამა?! — ასე ეტყოდა ერთხელ და... მის უმცროს მეგობარს ეს „მამა“ ისეთი გულწრფელი, მზრუნველი და ადამიანური ეჩვენებოდა ერთი შეხედვით უცხო კაცისაგან, უეცრად რატომღაც იმ დროს ინატრებდა, როდესაც თვითონაც ამ სიტყვებითა და განცდით შეხვედებოდა ვინმეს, მასზე ბევრად უმცროსს, და მასაც ისევე შეუტოკებდა გულს სიხარულით, როგორც ეს ჯემალ მონიავას მოემოქმედა.

ხოლო ძალიან რომ ენდომებოდა — პაპამისს თავისი პირველი შვილთაშვილი ენახა, ვერ შეძლებდა მისთვის ეს სიხარული პირადად გაეცნო, ნიკო სოფლად წაეყვანა — რამდენიმე თვით დაიგვიანებდა. და მძიმე განცდად შემორჩებოდა, მისთვის ძალზე ძვირფასი ადამიანები ვერასოდეს რომ ვერ შეხვედებოდნენ ერთმანეთს.

და ის კი სჯეროდა და ვერავინ გადაარწმუნებდა:

არიანე ჭანტურიას მთელი თავისი ნიჭი, უნიკალური მეხსიერება და გამოცდილება საფლავში წაეღო; და იმიტომ კი არა, რომ აქ ღირსეული მემკვიდრე არ დარჩენოდა. სულ რომ ბეჯითი სტუდენტების არმიაც ჰყოლოდა, ვერ წარმოიდგენდა მის შეცვლას. განუმეორებელი, რომ ამბობენ, კი გაცვეთილიყო ეს სიტყვა, მაგრამ არიანე ჭანტურიას ზედმინევენით ესადაგებოდა.

არც ის დამაფიქრელი ეპიზოდი უნდა დარჩენილიყო მხოლოდ ყოფით რეალობაში მოსაგონებლად:

ავარიისა და დაიღუპებოდა ერთი უნიჭიერი და ძალიან ნესიერი მოსწავლე, თანაკლასელები გადაწყვეტდნენ, სკოლის შესასვლელში დაღუპულის ფოტო გამოეკრათ.

მათ გადასარწმუნებლად დირექტორის ვერცერთი არგუმენტი ვერ გაჭრიდა, რაკილა ცხელ კვალზე მართლაც შეუძლია ტრაგედიას იოლად დაჯანბნოს სალი აზრიც და რაციონალური მსჯელობაც.

და აი, კონფლიქტი ქართულის მასწავლებლის ერთ ჯადოსნურ ფრაზას უნდა გადაეყვიტა, ერთბაშად რომ დაამოშინებდა ამბოხებულ მოსწავლეებს:

— ვიცი, ბრაზობთ, სურათის ჩამოკიდების უფლებას რომ არ გაძლევენ, მაგრამ მერმუნეთ, დრო გავა, იმ ფოტოს ჩამოხსნა მოგვიწევს და გული მამინ უფრო მეტად დაგწყდებათ.

გამბადებული იგავია, სასკოლო ქრესტომათიაშიც შესატანი.

წიგნის ფურცლებზე კი უნდა აღნიშნულიყო ის გულდანყვებაც, რაც ავტორს განეცადა იმ ნეიროქირურგის — სლავა სეკანიას — გარდაცვალებით, მისთვის ოპერაცია რომ გაეკეთებინა, ცოტა რთული, უხეში და მკაცრი კაცის, მაგრამ თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალის, და დაცდენოდა:

— სხვებთან ერთად ამქვეყნიდან ის ადამიანებიც მიდიან, რომლებმაც გადაგვარჩინეს.

ფრაგმენტების, ნაკუნების, ნახსენებების ეს სერია კი უნდა დაგვირგვინებინა ალექსანდრ პუშკინის საქვეყნოდ ცნობილი ლექსის ზაზა წონერიას მიერ შესრულებულ თარგმანს, მარტოობაში გამოჭედილ და მარტოობისვე დამთრგუნველ შედეგს: მე თქვენ მიყვარდით, ლტოლვა ფარულად ვერ არ დამცხრალა, კვლავ ისმის კენესაო — და გაახსენდებოდა „ლედი ზეპელინისა“ და „იურაი ჰიპის“ მოყვარული კაცი, რომელსაც თურმე ლიტერატურაც ძალიან ჰყვარებოდა.

რაო, მოულოდნელია გადასვლები ეპიზოდური ეპიზოდზე, სურათიდან სურათზე, ფრაზიდან ფრაზაზე ზვიად კვარაცხელიას ორიგინალური ყადის წიგნში „დარეკე! დაუბარე!“

ეს არის სწორედ ექოების თავისებურება, ის გარეგნული ალოგიზმი, რაც სინამდვილეში — ვინ იცის — უფრო ღრმა ლოგიკას, უფრო მტიცივე კანონზომიერებასაც იმარხავდეს.

მთავარი ის არის, მოზაიკა შორეული ნახმევისა მოხდენილად აწყობილა და — ნინო სადღობელაშვილის დაკვირვებისა არ იყოს — ასე ცოცხლდება საზოგადოების ის ერთგვარი „იდეალური მოდელი“, რაც მკითხველში იმედს აღვივებს — პიროვნულ შესაძლებლობათა, თავგანწირვის, სიყვარულის იმედს.


თითქოსდა ოთარ ჭილაძის რომანის — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ — ფინალი შემოცურებულიყო, ფარნაოზმა გასაფრენად მზადმყოფ ბავშვს რომ უნდა ჩასჩურჩულოს:

— აი, ასეთი იქნება ქვეყანა.  
— ასეთი ხომ არის?! — უნდა გაუკვირდეს იკაროსს.  
— ხო, არის და იქნება კიდევ.

\*\*\*

დარეკე! დაუბარე!  
და ტრიალებენ ყორნები საიქიო-სა-აქაოს საზღვარზე და შორითშორიდან აღწევს მათი ექოების ნახმევი.

ეს ნახმევი სიტყვისა თუ ფრაზის ყოველ ფრაგმენტშია, ყოველ ნაგლეჯსა თუ ნაკუნში, რომელთა არსსა და მნიშვნელობასაც თუკი შეიგრძნობ, კიდევ მოგელა-მუნება უჩვეულო ნიავი სახეზე და უხვად შემოგაყრის იმ იდუმალ ხმებს, რომელთა ნაწყვეტებიც გაგიცხადებენ უფრო მეტს, ვიდრე დიდი მსჯელობა...







თუ ეკლესიის მოთხოვნას იმპრე-  
სიონისტებმა სტიკიცეს უარი.  
შენ სხვა ფორმულის მიენდე ციფრებს.  
და ღმერთს უთხარი:  
— ორეუარ!-ი.

ნიმბის ნათება გვირგვინის ეკალს  
რომ მოაქვს, პატივს თუ დამდებ, მენდე...  
და ექსპონატის სიჩუმე რეკავს  
საგამოფენო დარბაზში დღემდე:  
— ჩააქრეთ, ჭალის ყველა ნათურა!  
იქნებ მკვლელობის გაქრეს მოტივიც...  
და რომ ცოცხალი ქალის ნატურა  
იკითხებოდეს ნატურმორტივით.

განათებული გალერი ART-ის...  
ამ ხუმრობაში  
ხუმრობაც ჟონავს,  
ტურისტის შორით მიაგებს პატივს  
შენი სიბნელის შუქნათელ ხსოვნას.

**ქაბავალი ნოტარიუსის ალიარაბითი ჩვენება**

— და გახეთქილი უჩანდა ნარბი,  
რამე ხომ უნდა მელონა მართლა...  
თორემ დრო გარბის.  
როდესაც არბი-  
ტრი შეუდგება ათამდე დათვლას.

დროს თუ გაასწრებ,  
დრო ხმას არ იღებს...  
არ მოგექცევა, როგორც მეგობარს  
და შენი ნარბით დაათარიღებს  
შენი ნაბიჯით ჩავლილ ეპოქას.

მსურველი თუა, ჩამოვალ ნაძღვეს,  
რომ ნიშანს მოგვცემს თავად იესო,  
ალიარებით ჩვენებას გაძღვეთ  
ვიდრე ძეგველი ნოტარიუსი.

დიპლომები მაქვს ოქსფორდ-ბაზელის,  
გამამდგომოდა სადმე ქე მაინც...  
იურისტი ვარ სერიოზული,  
ისე, თავ-პირშიც ვიცი ცემაი.

არც არავისი არა მაქვს შიში,  
თავს ვეკითხები:  
— დღეს ვის რა ვარგე?..  
მერე, როდესაც გადავკრავთ ჩრდილში,  
„მოკითხვას“ ვუთვლი ჭალანთ ბალღებს.

თუმცა არ ხარობს ძეგვში ოლივი,  
მცხეთის ამგების აქ შერჩა კვალი  
და სრასასახლის ჭალის ბროლივით  
ქვებზე იმსხვრევა  
ხეკორძის წყალი.

— იქნებ საქმეზე...  
— საქმეა ესეც,  
ნუ მანყვეტინებთ, ეს არის საქმე! —  
განსხვავებულით ვადიდებ ფესვებს  
და სიგარეტის საკმეველს ვაკმევე.

...შორითვე ვიცან, ბახუსის მრეველის  
სტიქაროსანი  
დაეთრო მესას...  
ვინც გააგონა ქართველი მწერლის  
ხმა, ოკეანის გადაღმა პრესას.

ის ნალდი „სკოჩის“ იცნობს ბარიგებს,  
ქალს ადიდებს და  
ქალთან აქვს სექსი,  
დიდ მოედნებზე ჩამოარიგებს  
მტრედის გუნდისთვის სტრიქონებს ლექსის.

ბეჭედი მთხოვა, რომ აქტის ბოლოს  
დამესვა, მსურდა პატივი მეცა...  
რომ მას ეკუთვნის უფლება მხოლოდ  
მიზიდულობის კანონზე ზეცის.

რომ mc<sup>2</sup> + - α  
ტოლია თრთოლვის სიჩქარის წამის...  
და უდრის ლოცვას, როდესაც ალბა-  
ტროსი მისცურავს ზეცაზე ღამით.

რომ მან დაუდო სათავე ქვეყნად  
ახალ ტონს, ინგლი-  
სურად — New tone-ს,  
რომ მას ეკუთვნის ცისფერი ზეცა,  
მიწა ეკუთვნის, როგორც ნიუტონს.

ერთ ხანს კი თავი მივეცი ეჭვებს,  
მაგრამ ნიშანმა ეჭვები მოსპო,  
დავადნე ცვილი, გავხედე ბეჭედს,  
არა ბიჭო და,  
კვითხავდი მოსკოვს.

**ხიდი**

ბოლო დროს თითქოს წყლული გამიუ-  
არესდა, ვისკზე ვაყოლებ სოდას,  
„უცხო“ მიგზავნის სტუმრად კამიუ,  
რადგანაც მოდას  
არ ვუძღვნი ოდას.

ხასიათი კი უფრო გამიუ-  
მჯობესდა, გაჭრა ვისკმა და სოდამ,  
არ მიუცხოვა უცხო, კამიუს  
მიეცეს ჩემი ლოთობის ცოდვა.

და ვადღერძებ რადგანაც ევას, —  
ტრენდის წინაშე აშკარად ვცოდავ...  
ევა ნოტების რვეულში შევა,  
მყოფნის მტკაველი, —  
დო-ს მივწვდე დო-დან.

Grand merci, მერსო! — ჩემი საკანი  
ლიაა შენთვის,  
გამოგეთხოვე...  
ბედის კარზე რომ დააკაკუნოს,  
ოთხოდ ბგერა ჰყოფნის ბეთჰოვენს.

მეც მყოფნის ჩემი ხორცი და ძვალი  
და სული —  
ცაზე განვდილი წერო.  
მყოფნის სიმლაშე ბოსფორის წყლის,  
მარილიანი სიტყვა რომ ვწერო.

მსურს ეპიგრაფად დაფურთო ლექსებს,  
რომ „უცხო პირთა შესვლა სასტიკად  
აკრძალულია!“ — არ გავცემ ვექსელს  
მათზე, ვინც საჯდომს უქნევს სვასტიკას.

კარის ტროლები, რა გზით მოეთრი-  
ვნენ, კარგად ვიცი,  
არც სათქმელს ვმალავ,  
მაგრამ არსებობს ქვეყნად Poetry,-  
ის, რაც მუხლებში მიბრუნებს ძალას.

ხელნაწერმა რომ გაუძლოს დრო-ჟამს,  
მინდა, რომ წიგნის დავხატო საშვი, —  
რომ დიადემად დაადგეს ბოშას  
ზურგის ჩანთიდან ღიმილი ბავშვის.

და რადგან ქვეყნად მივინდე ლოგოსს  
და ლექსის წერა ვადარე მესას,  
მინდა გაჩვენოთ,  
საიდან, როგორ  
გადაიქცევა სიტყვები ლექსად.

პატ. ცემის ნიშნად, ბიჭსა და გოგოს,  
მოგმართავთ, როგორც  
მისსა და მისტერს,  
სიტყვები ლექსად იქცევა, როგორც  
პური და ღვინო იესო ქრისტედ.

რომ იფრიადოს სტრიქონის აფრამ,  
ვცდილობ უკეთ ვთქვა, აქამდე რაც ვთქვი:  
— არაფერია ახალი უფრო,  
ვიდრე სიძველე ახალი აღთქმის.

რომ არა უფლის წყალობა დიდი,  
რას შევებდავდი ქართველს ამდენს...  
ბოსფორის ხიდზე ლამაზი ხიდი  
სიკვდილ-სიცოცხლის შუაში გავდე.

...ასეთ დროს სხეულს ეცლება წონა.  
დაკარგავს მართვას სენსორზე პულტი...  
და მარილიან სიტყვაში ჟონავს  
ზღვების სიმლაშე  
ბოსფორის სრუტის.

**მეტაფორა**

„შავი კვადრატი, —  
აი, დიადი მეტაფორა  
ჩამრთველსა და ნათურას შორის“.  
საკუთარი ეპიგრაფი

Hi, მალევიჩ!  
საით, შე ძველო?..  
შენს სიბნელეში დამჭირდა გიდი,  
საქმე აღიძრა მზის განზრახ მკვლელო-  
ბის მუხლით. საქმის მოკვლევა მიდის.

ჩადენილია მკვლელობა განზრახ, —  
ამონაწერში ვკითხულობთ ოქმის...  
აღნიშნულია ვიტებსკის მაზრა  
და მოსამართლეს სამხილი ჰყოფნის.

შავი კვადრატის დააგე მახე, —  
და მაუწყებლობ ჩამქრალი TV-ით...  
შენ და მზის ქილერს  
ერთი გაქვთ სახე  
და კრიმინალის ჩნდება მოტივი.

რა სხვაობაა, თუ რა ფაილით  
დატოვებ ლაქას ძველისძველ სენის...  
თუ წერვებს გიშლის,  
რომ რაფაელის  
ფუნჯი მეტყველებს სინათლის ენით.



ამ დროს, სად იყო, სად არა, ვფიცავ, ნიშანი მოგვცა თავად იესომ. ცას წავა, ველარ დაიჭერს მიწა, — ვამონებ ძეგვის ნოტარიუსი: — ჩემი ოფისი იქა პალაცოდ, — ზღურბლზე უეცრად გამოჩნდა ქალი და სანოტარო ბეჭდის სანაცვლოდ მან სანეტარო გვაპკურა წყალი.

ბაგე შეახო, — დატოვა ფაქტი... მანამდე პოეტს შეავლო თვალი, ხელშეკრულების ითხოვა აქტი და დაამონმა პომადის კვალით.

**კაბა**

როცა კი ქარი გადამხდის საბანს და მოდის ხილვა ნახევრად მისტიური, ჩემი და ჩამოხსნის კაბას, შექენილს უფრო ლამაზი დღისთვის.

შექენილს სადღაც მიმავალ გზისთვის... ან იქნებ ნითლად ჩამავალ მზისთვის... ან იქნებ უფრო ცისფერი ცისთვის.... ვინც არსად იყო და მაინც მისთვის.

...ვერ გავუთენე ის დღე, არადა, იმ დღისთვის ჰქონდა ნაყიდი კაბა, ახლა კი უცდის ძველი კარადა ქარის ფრთა როდის გადამხდის საბანს.

რომ გამოვალ კარი კარადის და მისწვდეს კაბას სურნელი მინდვრის. მე კი ვილოცავ: — ან და მარადის... რომ იქნებ რამე ვუშველო სინდისს.



მანანა ქურდაძე

\*\*\*  
ჩემო ბედის დამწერელო, რად მაჭამე მლაშე კვერი, გზაჯვარედინს გავცქეროდი, სიზმრად ვყლაპე ლექსის მტვერი. შენ რომ გკითხო, ალბათ მეტყვი, ქვაზე იჯექ, მოგეც ბედი... მეც არ ვიყო ედ-დინ-რუმი, წერას ისე მავალბედი... ჩემი ხილვის კვალს მივყვები, ჩემი სიზმრის ანარეკლის, სამი დროის ამბავს ვყვები, დამაკისრე როლი მეკვლის. ჩემო ბედის დამწერელო, რად მაჭამე მლაშე კვერი, გზაჯვარედინს გავცქეროდი, სიზმრად ვყლაპე ლექსის მტვერი.

\*\*\*  
მღვიძავს და სიზმრის ძილში ღირეტივები შემაქვს, მერქვას სიზმრების მწყემსი, ციურ დინების ფსკერში ნახნაგოვანი კალთის ვინრო დინებებს ვრთავდე... ნებელობითი ალქმა შრეებს ალაგებს მწყობრად და მოკაკული მთვარის ანალიზსა ხსნის ტვინი. მცნება არ ნიშნავს დოგმას, მწყემსი არ ნიშნავს — ფარის... გამომდინარე ჩვენი გამა-ლებული რიტმის, ჩვენი აზრის და ფიქრის ლოგიკურობის წყვეტა ეტაპობრივად გადის მწყობრ დინამიურ უბანს და ურბანული ხედი გამოფიტული უბნის თავის ნისლჩამდგარ თვალებს ავლებს ცის თალზე დაისს.

\*\*\*  
ერთი გადამწერელი და ორი მეჩირაღდნე, სამი სახლიკაცი და ოთხი ჯორი საპალნე... გავთვალთ და ვითამაშოთ ენკი-ბენკი-ციკლისა, ვიხუჭოთ და ვიმალოთ და სეირები ვთალოთ... შენ რას გერჩი, ჩემო თავო ანდაც ჩემო თვალო, ანგარიში ვასწოროთ და ანგარება ვმალოთ, როგორც არის, დავტოვოთ და მტერი გავახაროთ. გასწი, ჩემო ურემო და გადაბრუნდი მალე, ჩვენი გზა რო გამოჩნდება მოექცევა საველე.

\*\*\*  
ღმერთო, მასწავლე ადამიანების გადარჩენა და მომიტევე ჩემი არცოდნით ვერგადარჩენილი ყველა სიცოცხლე და ულონობით გამოწვეულ ჩემი ცოდვილი სულის სიმძიმეს მიეცი შეება... ღმერთო, მასწავლე გადარჩენა სხვისი სულების, იმ დანგრეული ხუხულების, გროვა რომ დადგა... და მაცნედ მოდი, ჩემო მზის სხივო, რომ ქრისტე აღსდგა!

\*\*\*  
ქვიშაზე ზეცის ანარეკლი იშვა და ჩემს სხეულს მზე მშვიდად სერავს სკალპერით, შეებაა სიო და ღრუბელი... ვიდავო ვისთან — მზესთან?! ცასთან?! უდავოდ წავაგებ ომს და სხეულს ეულს და დამწვარს მიგდებულს ქვიშაში, რვეული, კალამი სულზე მომისწრებდა... უალტერნატივო მგონია ჩემი პოზა, ოპოზიციური დამენყო ფიქრები, ციური სხეული — მზე თავზე მეფრქვევა, უსხეულობის განცდა და მლიქნელი ტალღების საბანი — საბაბი გავუძლო გვალვიან ამინდებს, „მიდია“, „ბეკო“, „ბოში“ და „სამსუნგი“, აქ რა მოსატანი იქნება, გეთაყვა, აქაა ბათუმი, ურეკი, მალთაყვა, ყვინთვის სეანსები და ფრენა მკლავურით, აღმურმოდებული სველი შეზღონგები და ზედ ფეხ-ლონგები ბარხატი სხეულით. ქვიშაზე ზეცის ანარეკლი... რეკავს და რეკავს აიფონი, ფონს გასული ვარ და მინდა გითხრა, ჩემი მკლავების მოგრძო ჩრდილში მზე დაეშვა და ზღვამ ჩაყლაპა ცხელი ლაპლაპა ბურთი მოციალე.

\*\*\*  
სული მოვითქვი და გზები მოვითქვე ოკრო-ბოკრო, შევხვდი მადლარ კუჭებს, უჭმელ-უსმელს კიდევ უფრო... ჩემს ბედს დავემგზავრე, იყო ჩემი გიდი, ჩემი მხსნელი, ამ ჩემს გზა-სავალზე, ვთხოვე უიღბლობას — დამეხსენი... ადგა კაცი უშნო, კაცი ბრგე და კაცი დევი, გაქრა, როგორც ნისლი, როგორც თეთრ ცხვრის ფარას მთაზე გადადენი... სული მოვითქვი და თვალი გავუსწორე ბედს, ჩემს მდევარს, კარგად გამიცნო და კარგად გავიცანი მე ეს — მე ვარ.

\*\*\*  
უჟამურობის ჟამი, ჟამიანობის რისხვა, მუხის ხე დგას და არის და რკოს ყოველთვის ისხამს. გადაივლის და წავა... ულიმიტოა ყოფა... შეველაა და აბჯარი ყიფლიბანდების ჯარი, ჟამიანობის რისხვა. უჟამურობის ჟამი გადაივლის და წავა...

\*\*\*  
ჩვენი ცხადი და ჩვენი სიზმარი ამაოების ნიშნულზე წვება, დგას მორჩილება როგორც საყდარი და სულის სიმებს ედება შეებად. უნაპირო ცის მსხვერველად მირაჟებს აქვს ეკლიანი გვირგვინის სურო, მე ბალბის რტოებს დავიფენ ფეხით, რომ ლალისფერი ზღვა გადავცურო.



დასასრული  
დასაწყისი N273-274

— ძმებო, ჩვენებს უნდა მივეშველოთ და მტრის მახვილებისგან ვიხსნათ. მანამდე ხვასტაგის ბაკებამდე უნდა მივალნიოთ, მერე იქ ყველაზე ახალბედა და გამოცდილი მებრძოლები დარჩებიან და საქონელს გაირეკავენ. დანარჩენები სამხრეთით შემოვბრუნდებით და მანსურს ჩავეშველებით, მტრის რაზმსაც თან გავიყოლებით და იქ ხმალი და მისი მადლი... ვინც დარჩებით, რასაც წაასხამთ, წაასხით, თავებს წუ დაიხოცავთ ნადავლისა და საშოვარისთვის. მორჩა, ეგ არის ბოლო სიტყვები! ბისმილლაჰ!.. — სხაპა-სხუპით და გაავებული ხიხინით ვუთხარი გარშემოჯარულ და, ცოტა არ იყოს, დაბნეულ თანამებრძოლებს.

მათ შორის უკვე რამდენიმე დაჭრილი იყო, სისხლი სდიოდათ. ერთი კაციც მოგვიკლეს — შუბზე ააგეს ქვეითებმა.

ბიჭებმა თავი დამიკრეს: — ბისმილლაჰ!.. ბისმილლაჰ!.. ძმებო ბაბურ. ჭეშმარიტად, უზენაესის ხელშია ჩვენი ხსნა და გადარჩენა, თუ არადა, ალლაჰის ნებას ვინ წაუჯა!..

მათი თანხმობითა და თანაგრძობით გულმოცემულმა ჩემთვისაც კი მოულოდნელად მოვალე პირი და იმხელაზე დავიდრიალე, რომ თავადვე შევხტი უნაგირზე, კინალამ ჩემი ბებერი ცხენი არაფშას ზურგიდან გადმოვვარდი და ძირს ზღართან მოვადინე.

— დუიუთ!.. დუიუთ!.. დუიუთ!.. ქხუუუ!.. ქხუუუ!.. ქხუუუ!.. ურააააგ!.. ურააააგ!.. — ჭკუიდან შეშლილივით ვღრიალებდი ჩემი ულუსის საბრძოლო ურანს, რომელიც ყირიმის სახანოს ომების მონაწილე ცხონებული პაპაჩემის, ისკანდერ ბეგის, შემდეგ აღარავის გახსენებია.

ჰაერში ფხასისხლიან ხმაღს ვატრიალებდი და ჯიქურ მივიწვდი ნადავლისკენ, რომ იქ ბიჭები დამეტოვებინა და თავად რაც შეიძლება სწრაფად დამეხსნა მანსური და ჩემი მშობლიური ყიშლაღელები.

როგორც იქნა, მივალნივით საქონლის ბაკებამდე და ჩვენი მარეკებიც კისრისტებით შეცვივდნენ, ბაკის კარი დახსნეს და მთელი ხვასტაგი დაილაღეს, რომ რაც შეიძლება მეტი ალაფით გასულიყვნენ სამშვიდობოს.

აბა, იქ ატყდა ჯოჯოხეთური ხმაური და გნიასი — ცხენების ფრთხილვა, ხვიხვინი, ხარ-ძროხის ბლაგილი, აქლემებისა და ცხვრის ზმუილი ერთმანეთში გადადიოდა. ერთ უზარმაზარ წითელ ორკუხიან აქლემს პირდაპირ კუზში მოხვედროდა ბრმად გასროლილი ცეცხლოვანი გრძელი ქვიბური და ახლა სიბრაზისგან და შიშისგან გაგიჟებული იქაურობას ანგრევდა.

ჩვენ სასწრაფოდ მივბრუნეთ ცხენები სამხრეთისკენ და ალყაში მოქცეული მანსურისკენ დავიძარით. აქ კი მთელი ძალით ვიქნევი ხმაღს და შიგადაშიგ, როცა რაიმე მაგარს ხვდებოდა, პირდაპირ მაჯაში ვგრძნობდი დარტყმას, მტრის სხეულში თუ შეაღწევდა და გაჭრიდა, ისეთი ღრჭიალი ჩამესმოდა, თითქოს ხორცის ლუკმა გავღეჭეო და სადღაც ქვეცნობიერად ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს მარტო კი არ ვჭრიდი და ვკლავდი ადამიანს, არამედ იმ წყეული, ღოჯებიანი და პირსისხლიანი მანგუსით, წყალქვეშა სამეფოში რომ გამეჩვენა, პირდაპირ ვჭამდი მათ. თუმცა ახლა ამაზე ფიქრის დრო აღარ იყო, ჩემი ალყაში ჩავარდნილი და განწირული თანამებრძოლები უნდა დამეხსნა და მაც სათანო ღვთისსასურველ აზრებს რომ მივყოლოდი, მანსურსაც და ჩემს თანამომძებნსაც დაუნდობლად ამოუღეტდნენ და ძველ ცოდვებთან ერთად ახლა მათი სისხლიც მე უნდა მეზიდა კისრით.

გააფთრებით ვიბრძოდით, რომ როგორმე ალყა გაგვერღვია და ბიჭებს დროულად მივეშველებოდით. შლეგივით ვბლაოდი და იმ ცეცხლოვანი ისრით დაჭრილი თანდუთური აქლემივით იქურობას ვიკლებდი — „ალლაჰუ აქბარ!.. ალლაჰუ აქბარ!.. ალლაჰუ აქბარ!..“ — მთელი ხმით ვყიჟინებდი და საკუთარი ხმა და გარშემო ზა-თქი და გუგუნი ერთნაირად მაყრებდა. მაშალლაჰ, თავს ვიმხნევებდი, მაგრამ ამა-სობაში ბიჭებიც გაავამხნევე და რალა მენალვლებოდა?.. ჩვენებიც გულმოცემულები ყვირილითა და ძახილით მხეცებივით მიეტყვენენ მტერს. დროდადრო ისეთი გამაყრებელი და გრძელი სტვენა ისმოდა,

თითქოს ჯირითში იყვნენ და თავისიანებს ამხნევედნენ. დიდი ხმაღთქვეთება დადგა, დაუჭრელი არავინ დავრჩით, მაგრამ ბრძოლით გახურებულები ნაჭრევის ტკივილს ვერც ვამჩნევდით. მხოლოდ სისხლით ვგრძნობდით, რომ დავიჭერით და სისხლი გვდიოდა. რამდენიმე ჩვენი თანამომძებნი ზედიზედ უსულოდ გადმოეშვა ცხენიდან, ზოგს ცხენიც გამოუკლეს, ერთი მე შემოვისვი უკან, დანარჩენებს სხეებმა გაუნოდეს დამხარების ხელი.

ამასობაში ყოველდამონყალე ალლაჰის ნებით ალყაც გავარღვიეთ და ჩვენს ბიჭებს შევეუერთდით. პირველად მანსურს მოვკარი თვალი. მოქცეული სახე ადამიანისას აღარ უგავდა, მთლიანად სისხლში იყო ამოვლებული და მიტკალივით გათეთრებულს თავისი და მტრის ერთმანეთში არეული სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა. ისეთი

გადაუხსნა. არაფშას ქუსლი ვკარი და ჭეხებით მივეტყვე იმ სამეულს. ერთი პირველსავე ხმლის მოქნევით ჩამოვადგე, მეორეს აკუნულმა და გამწარებულმა მანსურმა უწვდინა ხმალი, მესამე გაგვექცა. მანსურმა გამოდევნება დააპირა, მაგრამ აღარ დავანებე, სადავეზე ხელი ვუტაცე და თან გავიყოლე ზუსტად ისე, როგორც თვითონ გამომიტაცა მაშინ, როდესაც უცხოტომელებმა დამჭრეს და იმ ბოზიშვილმა ნურ მუჰამედ ბანმა მათრახის ვერაგული დარტყმით თვალი გადამიხსნა. მანსური ეგრევე დანდობილად მომყვა, წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდა, ისე იყო ჭრილობებისგან დასუსტებული და ჩახოცილი ბიჭების ცოდვით შეძრწუნებული. უნაგირზე თავს ძლივს იმაგრებდა.

ინშალლაჰ, ალყა გამოვანგრეთ და გახელებული ჭენებით მივეყვით ჩვენებს.

ბექა ქურხული

თვალდაკარგული ყივჩაღის ჩანაწერები



გააფთრებით იბრძოდა, თითქოს ერთხელ უკვე მოკლეს და ანი დასაკარგი აღარაფერი აქვსო. აღარცა ჰქონდა. მისი გაუზარებელი, ჯიუტი და თავზეხელაღებული იერიშის გამო რაზმი განახევრებოდა. ჩვენი ყიშლაღის უამრავი სახელოვანი და ახალგაზრდა ნუქერი უდროოდ შეერია ამ ღამეს სიკვდილს და უკანასკნელი და საშინელი სამსჯავროს წინაშე წარსდგა. მანსურმა თავადაც იცოდა, რომ ამ ბიჭების დაღუპვა მისი ამპარტავნებისა და შურის ბრალი იყო, მას მოსთხოვდნენ სისხლს და ახლა თავადაც სიკვდილს ეძებდა. მე კი ერთი სული მქონდა, ეს წყეული ალყა გამერღვია და ვინც გადავრჩით, ის თანამებრძოლები მაინც გამეყვანა სამშვიდობოს მანსურთან ერთად. თანაც ომში და ხოცვა-ჟლეტვაში იმასაც მოვკარი თვალი, ჩვენმა ახალბედა, ხვასტაგის გასარეკად დატოვებულმა ბიჭებმა სტვენით, ყიჟინითა და მათრახების ტყლაშუნით მტრის დამფრთხალი საქონელი როგორ მოსხლიტეს და ჩვენს მშობლიურ ველებს მიაშურეს. მათაც დროული შველა სჭირდებოდათ, თორემ გაავებული და ალიონზე სიკვდილით გაღვიძებული მდევარი ალაფსაც დააყრევინებდა და თავებსაც. ბოლომდე ამოწყვეტდნენ მერკიტებივით და არც ჩურჩუტი თავები შერჩებოდათ მხრებზე.

ჩვენი შემართებითა და ბრძოლით გამხნეებულმა ბიჭებმა დასავლეთისკენ იბრუნეს პირი და ალყის გარღვევა საკუთარ მკლავსა და მახვილის სიმკვეთრეს მიანდეს. მანსური მტრის სამმა ნუქერმა წაიმწყვდია. არც მანსური ცდილობდა ღვთის წინაშე თავის დახსნას, ფეხმოუცვლელად იდგა და თავგანწირვით იბრძოდა, ცოტა ხანში ირიბად მოქნეულმა სატევარმა ბექა

შემტრედისფერებული გარიჟრაჟის სინათლეში წამოსული მტვრითა და ბულით მივხვდით, საითაც მიერეკებოდნენ ჩვენი ბიჭები ნაალაფარ ხვასტაგს. მტვრის კვალზევე მისდევდათ მდევარიც, მაგრამ მოვასწარი და გზა გადავრჭყერით. აი, სად გამოგადგა დასვენებული და ფეხმარდი ცხენები. მტერმა რომ დავგინახა, ახალბრძოლას თავი აარიდა — თვითონაც გვარიანად იყვნენ შეფრთხილები ჩვენი ღამისეული მოულოდნელი და ვერაგული თავდასხმის შემდეგ. ამიტომ გამორკვევისას მინდორში გაფანტულ საქონელს გამოუდგნენ, რომ მოექუჩებინათ და ისიც არ დაეკარგათ.

თითქმის მთელი დღე შეუსვენებლად ვაჭენეთ ცხენები. საქონელი კინალამ დაგვივარდა ამ უთავებოლო სირბილისგან. შედარებით მსუბუქად დაჭრილი ბიჭები დროდადრო უკან ბრუნდებოდნენ და ჩვენს ზურგს იცავდნენ. შიშის ჩასვლას და დაბნელებას ღვთის წყალობასავით ველოდით და როგორც ასეთ დროს ხდება, აღარ და აღარ დაღამდა ეს ოხერი. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოვხლდა და საჩვენოსკენ გამოვადინეთ. ბანაკი დავეცი, ნადავლს საქონელს ყარაულები დავუყენეთ, ჩვენს კუშმანს კი — მზირები. ახლა ჩვენ მოვანყვეთ ხორუგები, თუმცა ცეცხლის დანთებას კი მოვერიდეთ. მადლობა ზეცას, მთავარიანი ღამე დადგა, ერთმანეთს ვარჩევდით. მხოლოდ ახალა მოვიკითხეთ, ვინ დაგველუპა, ვინ დაგვეჭრა, ვინ როგორ ვიყავით, რა როგორ მოხდა და რატომ?..

თითქოს გულის ხვამაიდი ავისრულებთ, დიდძალი ალაფიც წამოვასხით და გათავხედებული მტერიც დავსაჯეთ, მაგრამ ძალიან დიდი სისხლი დავგვდინა. ჩვენი ყიშ-

ლის ნარჩევი ბიჭების აჩეხილი, ისრითა და მშვილდით განგმირული სხეულებით მოიფინა ბრძოლის ველი, მათი სისხლი ვერც მინასაც არ შეშრობოდა, მათი ტანჯული სულები კი ჩვენს ცოდვილ ტრამალებში დაილანდებოდნენ, ვიდრე მაღალი ალლაჰი თავის ყოვლადმონყალე კალთას გადააფარებდა და მშვენიერი ჰურიებით სავესე სამოთხეში მიუჩენდა მათ კუთვნილ ადგილს. ძალიან ძვირი დავგიჯდა ეს გამარჯვება, ცხვირიდან ძმრად ამოვდინა და არც ერთ ჩვენთაგანს დანა პირს არ უხსნიდა. ჩვენი ჯიგიტები და, განსაკუთრებით, მანსურის ულუსის მებრძოლები, რომლებიც ყველაზე მეტად ჩანყდნენ ამ შეტაკებაში, ძალიან იყვნენ მასზე აღრენილები, დაგეშილებივით უვლიდნენ გარშემო და ზედაც აღარ უყურებდნენ. თვლიდნენ, რომ მანსურის პატივმოყვარეობას, სიკერ-

პეს და ამპარტავნებას შეენირა ჩვენი ძმების ახალგაზრდა და მშფოთვარე სიცოცხლე. ძალიან ძნელი იყო გამოსარჩლება, ყველამ დაინახა, მის უგუნურ იერიშებს შეანყდნენ ჩვენი მამაცი ბალათურები. იმის მაგივრად, რომ სალაშქრო ყურულთათის გადაწყვეტილებას დამორჩილებოდა, ყველაფერი აურიო. მას რომ გვემის მიხედვით ემოქმედა, ახლა ჩვენი თანამებრძოლების უმრავლესობა აქ იქნებოდა — ბედნიერი, გამარჯვებული და უხვი ნადავლით გახარებული.

მანსური თავადაც დამნაშავედ გრძობდა თავს და თანამებრძოლებისა და თავისი საკუთარი სისხლით დამძიმებული, ჭრილობებისგან დასუსტებული, თავისავე ხალხისგან ათვალწუნებული და მიტოვებული თავისი ცხენის ფეხებთან მიგედო, ჩექმენი წაიფარა, ფაფახი ცხვირამდე ჩამოიფხატა და უმწეოდ გაიტრუნა. ჩემთვისაც კი არ გაუცია ხმა, მადლობაც არ უთქვამს, სიკვდილის კლანჭებისგან რომ ვიხსენი.



ღამე ჭრილობებისგან კიდევ შვიდი მძიმედ დაჭრილი თანამომძებნი დაგველუპა. შვიდიდან ექვსი ისევ მანსურის რაზმელი იყო, ერთი კი საქონლის გამოსარეკად დატოვებულთაგანი ახალბედა — თითქმის უკვე სამშვიდობოს გამოსულს მოენია გაავებული ყირგიზის ისარი და მძიმედ დაჭრილს უკვე აქ, ჩვენ თვალწინ, ამოხდა სული. ალლაჰმა მიუტევოს და შეივადროს...

ბრძოლას კიდევ რა უჭირდა და აქ უფრო ძნელი იყო სასიკვდილოდ დაჭრილთა ხრიალის, კვნესის, გოდების და ბოდვის მოსმენა. სულთმობრძავი, ჯან-ლონით სავესე ახალგაზრდა ბიჭები გამაგებებით ებრძოდნენ სიკვდილს სიცოცხლისთვის და









# წერილები საკნიდან — წრე მეორე

გიორგი ბალახაშვილი

### 1(13)

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, მივიღე შენი პასუხები, ცალო, ერთგულო; უნინ თუ ნიგნებს ვკითხულობდი, ახლა წერილებს უნდა დავუთმო მთელი ღამე, განა მერიმე ან პასტერნაკი გაიქცევა სადმე, საკნიდან, მათაც უთუოდ გადავფურცლავ, სხვას რას დაგპირდე? აქ, სანიმუშო ყოფა-ქცევის გამო სასჯელის შემსუბუქებას მიპირებენ, თუმცა მტანჯველი დღეები მელის, რას მიქვია, ნეტავ მსუბუქი, ზომაზე მეტად რომ ვუკმით ვინმეს გუნდრუკი, სიმძიმის უფრო აითვისებს დღეთა სქოლიო, კვლავ მომეძალა ჩამავალ მზის მელანქოლია, როცა ჩადის და ალისფერი ხდება ტატნობი, წყალს ნაულია სიმსუბუქის აუტანლობა, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, მივიღე შენი პასუხები, ცალო, ერთგულო.

### 2(14)

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, სიშორემ მეტად გაამყდევნა, გვიყვარს ერთურთი, სამი ღამეა ვერ ვიძინებ, დღეს ძლივს მოვეშვი, როგორც წლების წინ, შენი თმების სიახლოვეში, როცა თითებით, როგორც თევზი, მასში ვცურავდი, მახსოვს კედელზე რომ გვეკიდა დეგას სურათი, სხვადასხვა მხარეს ჰქონდათ მზერა ქალს და მამაკაცს, ხშირად ვუცქერდით ჭიქა აბუნტს, როცა არაქათ-გამოცლილს თავი შენს კალთაში მედო ბავშვივით, ვაგლახ, დღეთაგან რომ დაგვირჩეს მხოლოდ ნახშირი, ან უარესი, ფერფლად იქცეს და ჩაინაცროს, იმ დღეთა მსგავსი, ნეტავ მეტი რაღა ვინატრო? შეგრძნებას უნევს ხსოვნისათვის ქედის მოდრეკა, წყალს ნაულია პისარო და ტულუზ-ლოტრეკი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, სიშორემ მეტად გაამყდევნა, გვიყვარს ერთურთი.

### 3(15)

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, სიტყვებს მივყავდით უელბეკამდე, ხანაც სარტრიმდე, მათ სიტყვებზე კი არ გვეყოფნიდა სიტყვა მაშინაც, ახლა ორივე ცხვირწინ მიდევს, სხვა რამ მაშინებს, ვაი თუ, დღეებს შემოუნდეს ჩვენსას — ჩრჩილები, რა შავ ქვად ვიხლი „ლანსაროტეს“ და „მორჩილებას“, ვაი თუ, ყოფა დაემსგავსა ჩვენი „ფლატფორმას“, გახდა სრულიად უგვანო და მეტიც — უფორმო, ბედნიერების დევნაში თუ დავრჩი ცოცხალი, სალამოს ერთად თუ არ შევსვით ჩაი — მოცხარით, მაშინ რად მინდა ჩემი ბრძოლის ველის განვრცობა, იმავეს ფიქრობ, ერთი-ერთში, ვიცი, არ ვცდები, ღამეთა სიგრძეც გაუტოლდეს ღამის ბაო-ბაბს, წყალს ნაულია არსებობა, არარაობაც, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, სიტყვებს მივყავდით უელბეკამდე, ხანაც სარტრიმდე.

### 4(16)

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, რატომღაც ჯარი გამახსენდა, ერთ დროს რეკრუტი მერქვა და შიშით ვეხებოდი მჭიდსაც, იარაღს, მას შემდეგ მართლაც ბევრმა წყალმა გადაიარა,

პირველ წერილებს ვუგზავნიდი დედას — ჯარიდან, დედა ყოველთვის დასაშვებზე მეტად ჯავრობდა, მამასაც უთქვამს, დედას რარიგ უნდა ნუგემი, არის სათუთი და ფაქიზი, როგორც გეიშა, მამაც ხომ ომმა შეინარა, დღემდე დაკარგულ გმირად ითვლება, არც საფლავი, მხოლოდ პასპარტუ, დედა ორივეს გველოდება — მეც და მამასაც, ლოდინმა უკვე უმალღესი დაღო თამასა, ლოდინმა უკვე ორბისებრი შეკრა ირაო, წყალს ნაულია უშენობის მთელი კვირაო, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ჯარის მაგივრად, დღეს ციხეში მქვია რეკრუტი.

### 5(17)

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ყოველ ძილის წინ, შენს კეფასთან მსურდა მესუნთქა, მსურდა მეთვალა ზურგზე ხალი, ტანზე — ბუსუსი, მოგფერებოდი, როგორც ქალწულს, უხლებს, უსუსურს, ჯერ კიდევ ნიავემიუკარებელს ანუ უმანკოს, ბინა დაგედო ჩემს ბინაში, უფრო გუმანთან, სალამოს ერთიმეორისთვის ისე გვეცქირა, როგორც სამი დღის უჭმელ კატას —

რძის ან ძეხვისთვის,

წერილი თვალები გამხდარიყო ისე დიდრონი, დროსაც უკულმა ეტრიალა დენი დიდრომდე, ჰიუგოდან და მერიმედან, დიუმადანაც, დღეს ჩემი კოცნა შენთან ნიავს გამოვატანე, რაღაც საოცრად საშინელი, გრძელი ღამეა, წყალს ნაულია ემილ ზოლა, ალბერ კამიუ, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ყოველ ძილის წინ, შენს კეფასთან მსურდა მესუნთქა.

### 6(18)

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, უშენოდ თავად ცისარტყელაც გაუფერულდა, მდუმარებაში გადავიდა ფერი შვიდივე, თუმცა გარედან არას ვიმჩნევ, თითქოს მშვიდი ვარ, ისევ წერილად გაგიმხილე გულისნადები, მინდა სოფელში გავიხიზნოთ, უწონადობა — ჰამაკში ნოლით მომეგვაროს, შორის ცაცხვების, გულიც სხვაგვარად აძგერდება, უფრო დაცხრება, დლით მდინარეს მივაშუროთ მე და ბიჭებმა, მზის გადასვლამდე არაყს ვსვამდეთ, თევზებს ვიჭერდეთ, გამოვეპარო მთვრალ ძმაკაცებს, შენთან მოვიდე, ხან საქასრიას მომიკითხო, ხანაც — ბორითში, მსურს, ჩვენი იყოს ყველაფერი, ვიყოთ მარტონი, წყალს ნაულია ყველა ფერი და ჯონ დალტონი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, უშენოდ თავად ცისარტყელაც გაუფერულდა.

### 7(19)

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, შენს არყოფნაში უძილობის გავხდი მეურვე, უძილობამ კი შემასწავლა შენი არყოფნა, მერწმუნე, კიდევ საუკუნო საგზლად სამყოფი, შენს არყოფნაში დავიჩივებ შიში, ეჭვებიც, ღამესთან ერთად ეს ფრჩხილებიც შემომეჭმევა, მე ვხუჭავ თვალებს, სიბნელეში ისევ გეხები, ჯერ შენი სახე, შემდეგ მკერდი, ტანი, ფეხები,

საჩვენებელ თითს ჩაიცურებ ცხვირიდან ტუჩზე და ამ ყველაფერს, შენ თუ არა, ღმერთი ხომ უმზერს? ეს ყველაფერი, შენ თუ არა, ღმერთმა ხომ უწყის, ვემშვიდობები არცთუ მოკლე და ცივ სურნყუნისს, ამინდის პროგნოზს რადიოში ჰყვება მარკონი, წყალს ნაულია თუ ვერ გნახე, მთელი მირკანი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, შენს არყოფნაში უძილობის გავხდი მეურვე.

### 8(20)

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ცხოვრება მოჰგავს სასაჩუქრე ყუთის შეფუთვას, არავინ იცის, წინ რა გველის? — კარგი, სიავე, ჰოდა, შენც მიდი, დაჯექი და ელოლიავე წუთებს, რომელიც ყოველივეს უღვთოდ ამდორებს, იქნებ ამ ყუთში გულმოდგინედ გიცდის პანდორა, უნდა დატოვო თუნდაც ბოლომ, სანამ დრო არის, ნავი, რომელიც იძირება, იქვე, ტროასთან, სანამ ხის ცხენით მოგადგება მტერი — ვერაგი, სანამ აფრებად გაიფენენ მოვის პერანგებს, სანამ ღუზებად შეიკვრება მომხდურთა ძვლები, სანამ ყორანი თავზე გაზის, გველი კი ძვრება თინიბექაურთ ციხის ლიბოს, ზენ ბაცალიგოს, წყალს ნაულია შუასკნელი, კარგად გამიგე, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ცხოვრება მოჰგავს სასაჩუქრე ყუთის შეფუთვას.

### 9(21)

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, თურმე ჩემს ღამეს შენი დილა ცოლად შეურთავს, მაყარში გვყავდა ვარსკვლავები, მარსი, ვენერა, უტოპიაა, რასაც გინერ, რა ვქნათ, მერე რა, თამადა პლუტონს მოპასუხედ ედგა სატურნი, ასტეროიდიც კი არ დასცდა ურანს — გატრუნულს, თითო კომეტა გისახსოვრეს თითქოს მზითევად, იყო ერთგვარი ლიტანია და ღამისთევა, გამთენიისას აერია ყველას სარტყელი, მსუბუქმა წვიმამ ჩაიარა უცისარტყელოდ, მაკემაკე და ჰაუმეა მოწყდნენ ჰორიზონტს, მერკური ფრედის ლილინებდა, ხანაც მორისონს, ღამის და დილის გასაყარზე გული ვიჯვრეთ, წყალს ნაულია ნეპტუნი და იუპიტერი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, თურმე ჩემს ღამეს შენი დილა ცოლად შეურთავს.

### 10(22)

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, დღეს მე პირველად ნავიკითხე პაბლო ნერუდა, საწყის ეტაპზე გავეცანი ზედაპირულად, მთელი საღამო ფონს მიქმნიდა კოკისპარული წვიმა, რომელიც იღვრებოდა თითქოს სათლიდან, ყოველი სიტყვა გულს სერავდა, კანსაც მათლიდა, თითო სტრიქონი — იდუმალი შეგრძნებით სავსე, სურვილს მიჩენდა, დამეძინა მეც — კატის მსგავსად, მქონოდა თავგზე ნადირობის ჟინი — მგზნებარე, თუმცა დილაღე უძილობის ლიბრი მეფარა თვალებზე, როცა გამოფრინდა კატის სიზმარი, ვაგლახ, იმედიც არ გამიხდეს ნათილისმარი, მილიმის მთვარის ობელისკი — უცხო პროფილით, წყალს ნაულია უძილობის დარგში ნობელი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, დღეს მე პირველად ნავიკითხე პაბლო ნერუდა.

### 11(23)


ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ბედმა ათასგზის დამცინა და ასგზის მიმუხთლა, არამცთუ ყეფის ეშინოდა ჩემს ბედს — ძალღისა, კუდის ქიცინსაც გაურბოდა, ვერც მე გავრისკე, ამაყად მეველო მანანწალა ძალღთა წინაშე, ივლისის ხვატში ან პირიქით, მარტის წვიმაში, ვერ გავასალე ამ ხროვაში თავი — ლუხუმად, ბედს სიტკობ არ აქვს შექარლამის, რახათ-ლუხუმის, მას უფრო მწარე გემო დაჰკრავს, კაკლის წენგოსი, გზადაგზა ვნიღბე ჩემი ბედი, უცხოვდ შევმოსე და ვინც უკულმა მიცქეროდა, წაღმა შემხედა, ვინც არ იცოდა, გამოშკითხა ჩემი სვე-ბედი, პალინდრომი და ესეები ველარ მართობენ, წყალს ნაულია ჩემი ბედის უკულმართობა, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, ბედმა ათასგზის დამცინა და ასგზის მიმუხთლა.

### 12(24)

ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, როგორც გუგული, მოგეკედლე და ჩაგებულდე, მე რომ გავფრინდე, ჩემი ბუდე შენთან დარჩება, არ მსურს ვინმესთან კამათი და გამოსარჩლება, მშვენივრად ვიცი დრო მოფრენის, ჟამი — გაფრენის, იმასაც ვგრძნობ, რომ მონადირე ჩამესაფრება, დავიზებირე ჟამი მწუხრის და დრო — ნათების, ჩემთვის ათასგზის დაუგიათ კაკანათები, ყველაფერ ამას გადავურჩი ერთი მიზეზით, მე შენს ბუდეში გუგულივით არ მოვიქეცი, მოგეკედლე და ჩაგებულდე, აღარ გავფრინდი, ყველა სიმის ხმა ჩავიბეჭდე შენი არფიდან, არ ჩამომშალოს ჩემი ბუდე ვინმე უგულომ, წყალს ნაულია, თუ გაფრინდა, ყველა გუგული, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო გერტრუდა, როგორც გუგული მოგეკედლე და ჩაგებულდე.



# გერტრუდას პასუხები — წრე მეორე



**1(13)**  
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, როდის გიხილავ თავისუფალს და უბორკილოს?! ფოსტამ მეორედ მომიტანა შენი თორმეტი წერილი, სადაც ტუსაღად მყოფს სჭარბობს პოეტი, მეც დღეებს ვითვლი, სანამ მოვა შენი ნახვის დრო, შემომეფურცლა კალენდარზე მარტი, აგვისტოც, რთულია, როცა იმდენ ამდენ ცილისნამებას, გაქვს ცრუ იმედი გარშემოთა ფერისცვალების, ადამიანი არც ფერს იცვლის, ზნეს და ხასიათს, მერწმუნე, ყველას საითათაოდ ჩაღის ფასი აქვს, ვინც ზურგს უკნიდან ლაპარაკობს ანდა დაგცინის, მათ განსაკუთრად არ შექმნილა ქვეყნად ვაქცინა, მხოლოდ სამარე თუ უშველის ასეთ კუზიანს, წყალს ნაუღია მთელი პორტი ანდალუსიის, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, როდის გიხილავ თავისუფალს და უბორკილოს?!

**2(14)**  
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მართლაც არ ვიცი, რა პასუხი უნდა მოგიგო? შენს წერილებში არის კრძალვა და მონივნება, სად მოახერხე ამ სიტყვების შეკონინება? სად შეაგროვე ამ სიტყვების ვრცელი მარაგი? ქათინაური, ალუზია, რიტმი, ქარაგმა, სად ააშენე ამ სიტყვების მტკიცე კოლონა? დილით ვაპკურე მაჯას შენი ოდეკოლონი, შენი სურნელი თუ მომაკლდა, მაჯას ვიყნოსავ, წერილთან ერთად შემოვგზავნი ნიცშეს, სპინოზას, მამარდაშვილს და ლეჟი ეცის, თავად ვოლტერსაც, განა რა არის ეს ცხოვრება — ომი, პროტესტი, ხან ტრაგედია, ხან უბრალოდ იუმორესკა, წყალს ნაუღია უმყიფესი ყველა გროტესკი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მართლაც არ ვიცი, რა პასუხი უნდა მოგიგო?

**3(15)**  
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ყველა ნიღბი გამეცვითა, დღეს რა მოვიგო? მე დიდი ხანი ვთამაშობდი უდრეკ და ძლიერ ქალს და უსაზღვრო მონატრებას ვერაფრით ვძლიე, რომ უშენობა დამეფარა, როგორც სასტიკი და საშინელი მოგონება, ფიქრი, სტატიკა, უიმედობა, ნიჰილიზმი, ფარსი, სიხარბე, გაქილიკება, ანგარება, სიძვა, სიყალბე, მედიდურობა, გულგრილობა, შური, სიცრუე, ვერც ბრმად ვიქეცი, რა თქმა უნდა, ვერც დავიყრუე თავი, რომ ხელი ჩამექნია ქვეყნად იმაზე, რასაც ვხედავდი და ვისმენდი — ეს პეიზაჟი ახლა თვალწინ მაქვს გადაშლილი, წარსულს ბარდება, წყალს ნაუღია ყველა ცოდვა — უაღსარებო! ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ყველა ნიღბი გამეცვითა, დღეს რა მოვიგო?

**4(16)**  
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მითხარი, შენთან ყოფნის ჟინი როგორ მოვიკლა? წყურვილი კოცნის, ჩახუტების და ამ სარეცლის შენთან გაყოფის და რომ არა, ეს სიგარენრე

და თავხედობა — ჩვენი ბედის უცნობი მწერლის, განა სხვასავით დავითვლიდი მაღულად მწერებს, ჭერში ცქერისას — გამაძლარნი ან დამშეულნი, სჯობს განგეხილა ბულგაკოვის „ემმაკეულნი“, ან ბოლო-ბოლო ნაგვეკითხა ათიმათოვი, საუკუნეზე მეტს გასტანდა დღე და დათოვლილ მთების ცქერაში მოვიდოდა შეპარვით ღამე, ჩაგჩურჩულებდი, თუ გიყვარვარ, მიმღერე რამე, შენც თავმომწონედ აიღებდი ხელში გიტარას, წყალს ნაუღია დღე, რომელმაც არ გაიდარა, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მითხარი, შენთან ყოფნის ჟინი როგორ მოვიკლა?

**5(17)**  
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ხანდახან რწმენა უტოლდება მარცვალს — მდოგვისას, თუმცა, სულ მცირეც საკმარისი არის სრულებით, რომ დაძრა მთა და მოავაკო ეს უფსკრულებიც, ზოგს სათანადო არც ცოდნა აქვს, ნიჭი, შეგნება, რომ ეს ხრიკი მიიჩნიოს ოდენ ზეგნებად, ზოგი მართლსავე ცრუდ უყურებს, რას არ გაიგებ, მთელი ცხოვრება გაუვალი არის ტაიგა, ისეც ხდება, რომ იშვიათად თვალს ეჩხირება ხშირზე ხშირი ტყის განძარცვა და გამეჩხერება, ფასს ნურვინ ადებს, რაც არ იცის, ოქრო-ვერცხლებად, უკეთუ სარგო ნიღბივით შემოგეცლება, ვიდრე ამ ფიქრებს ძილისპირზე გავანელებდე, წყალს ნაუღია სტეპები და სავანელები, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ხანდახან რწმენა უტოლდება მარცვალს — მდოგვისას.

**6(18)**  
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მე თვალს ვხუჭავ, თითქოს აქ ხარ, ხელი მომიკიდე, მსურს, წამიყვანო სხვა მხარეში, სადაც არავინ შეგვხედავს შურით — აშკარად და დაუფარავად, სადაც ყველაფერს, რა თქმა უნდა, თავისი დრო აქვს, მარცხსაც, ზემსაც, ბოროდინოს და ვატერლოოს, სადაც ყოველთვის ენაცვლება სცილას ქარიბდა, სადაც ცივ ნიავს ოდნავაც არ მომაკარებდი, სადაც ოცნება ხორცშესხმული არის იდეა, ზეცის კიდეზე ვარსკვლავების ჯარი ჰკიდია, ნამგალა მთვარეც თავს იწონებს ზეცის კიდეზე, ბედნიერებას სადაც ჰყოფნის მცირე მიზეზი, მხოლოდ ერთთურთის მოფერება არ გვაქვს სამყოფად, წყალს ნაუღია უტოპია, რაც ვერ გავტოპეთ, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მე თვალს ვხუჭავ, თითქოს აქ ხარ, ხელი მომიკიდე.

**7(19)**  
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მართალი უთქვამთ, რასაც დასთეს, იმას მოიმკი, ხშირად ლოდინი უტოლდება ერთობ უსივრცო და მშრალ უდაბნოს, დავიწყებას მოდი ნუ მივცემთ დღეებს, რომელთა სურნელებაც ისე გვზაფრავდა, როგორც შვლის ნუკრი —  
გადამშეულ ხროვას აფთართა, როგორც ვენახი, თიბათვეს რომ წვიმას ელოდა, მთვარე, რომელიც მოიტაცეს სამეგრელოდან,

მთვარე, რომელიც გადამალეს აფხაზეთისკენ, თავის დანახვა გუბეშიც რომ ველარ ელირსა, გუბე, რომელიც ნანვიმარზე ზეცას ირეკლავს, სიტყვების ფარა საძოვარზე უნდა მივრეკო, რომ გაგიმხილო ფიქრი — თავზე ხელის ალებით, წყალს ნაუღია უსაძოვრო იალალები, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მართალი უთქვამთ, რასაც დასთეს, იმას მოიმკი.

**8(20)**  
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ნუ შეშინდები, რომ დაეცე, ნაიბორძიკო, ეცადე წელში გაიმართო, ფეხზე წამოდგე, უჯოჯოხეთოდ ვის უხილავს განა სამოთხე?! უტკივილოდ ხომ სიხარულსაც გემო უქრება, ბედთან ჭიდილი უნდა სცადო, ნუ ემუქრები, იგი განარჩევს უიღბლოებს — იღბლიანთაგან, ხვალ შესაძლოა პატიმარი გახდეს ბადრაგი, მეფე ვეზირებს დაემონოს, ტახტიც უარყოს, მავრის ტანივით მიაშუროს სადმე, ნუაქმრტს, ხოლო თავი კი, განზე დარჩეს, იქვე, ზამაკოს, ჩვენ ვიყოთ სოფლად, მდინარისპირს, ცაცხვი, ჰამაკი, ცეცხლს შევუკეთე დღე უშენო, ულიტანიო, წყალს ნაუღია მალიცა და მავრიტანია, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ნუ შეშინდები, რომ დაეცე, ნაიბორძიკო.

**9(21)**  
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მცირე ტალღამაც შესაძლოა დასცეს კონ-ტიკი, იოლად ნურვის მიენდობი, ყველას ნიღბით დაფარული აქვს პირი-სახე, ცხვირი, ნიკაპი, ხოლო თვალები, რომ იტყვიან, სარკეა სულის, თვალებში ხშირად იკითხება წარსული — სრულად, თვალებზე მეტად — საგულსხმო არის ღიმილი, ღიმილში ზოგჯერ დაფარული ბუდობს ტკივილი, ღიმილის შემდეგ დააკვირდი ხელებს და თითებს, რადგან ხელები უფსკრულისკენ თითებით გითრევს, არც კი იფიქრო, თუნდაც ძილში, წამით მოეშვა, შენს ჰაერს ვიყოფ, ოღონდ არა სიახლოვეში, სუნთქვის შესწავლას დასჭირდება განა ტომები? წყალს ნაუღია ყველა ნიგნი — ანატომიის! ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მცირე ტალღამაც შესაძლოა დასცეს კონ-ტიკი.

**10(22)**  
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მზად ვარ, შენს გამო უამრავი რამე მოვიკლო, მე არც აქამდე მიზიდავდა ძვირფასი ბენვის სამოსელი ან სამკაული, ოქრო და ვერცხლი, არც სუნამოსთვის მითხოვია ცალკე კარადა, პირიქით, ზოგჯერ ფლაკონიდან ჩუმად გპარავდი და ვიპკურებდი საფეთქლებზე, შემდეგ კისერთან, მაშინაც კი არ დაგცდენია, რომ დედისერთა გოგო ვიყავი — ნებიერა, ცელქი, თავნება, ჩემში იოტიც არ ყოფილა ამპარტავნების, ვბრუნავდით წრეზე, ერთად ყოფნის დღეთა სიუხვით, არად ვაგდებდით კანიონებს, კლდეებს, ჭიუხებს, მახსოვს, პირველად როდის გნახე, როგორ მაკოცე, წყალს ნაუღია ნაბეჩო და ლაღდა, ოკაცეც... ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, მზად ვარ, შენს გამო უამრავი რამე მოვიკლო.

**11(23)**  
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, სამოთხის ვაშლებს ნუ ვიგემებთ, მხოლოდ მოვკრიფოთ და თუ სურვილი მანაც ნაგვეძვეს, გავსინჯოთ თითო, კარგა ხანია ედემიდან გამოვძვედით, პირველი ლუკმა ერთმანეთის გახდეს შეცნობა, ჩვენი შიშველი სხეულების შერწყმა-შედნობა, მეორე ლუკმა — სულთა ლტოლვის სათავედ იქცეს, მუდმივად გვერქვას უცნობები: ყ, ხ; სახელი ჩვენი უსათუოდ იყოს კრებითი, პასუხს ვერასდროს მივაკვლით განტოლებიდან, არ არსებობდეს განსაზღვრება სივრცეში დროის, მხოლოდ სხეული მეტყველებდეს ანსა და ჰოეს, თავზე დაგვექცეს წვიმისაგან ზეცა — მოცისფრო, წყალს ნაუღია ტროაცა და ყველა ტროცისტი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, სამოთხის ვაშლებს ნუ გადავყრით, გჭამოთ, მოვკრიფოთ.

**12(24)**  
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ვასრულებ წერას — დროებით და უდროობით, ხვალღიან სწავლა განახლდება ყველა სკოლაში, ზომიზე მეტად დაქანცული ალბათ მოვალე შინ, წელს ორი კლასი მომბაზრეს, ერთის მაგივრად, შესაბამისად — მოსვენებაც გამინახვერდა, გამიჭირდება წერისათვის დროის მონახვა, სიქას გამაცლის დილიდანვე ამდენ ონავარ პირველკლასელი ბავშვისათვის თვალის დევნება, მათი ნაწერის გასწორება — დალოდლ მტკვნებით, იცოდე, გიცდი ერთგულებით, ვით პენელოპა, ჩემთვის გაჩერდა ყოველგვარი დროის მსვლელობა, მონატრებას კი არც სინჯი აქვს, აღარც ხარისხი, წყალს ნაუღია ხვალღიანი დღე და ზარის ხმა, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო, ჩემო როდრიგო, ვასრულებ წერას — დროებით და უდროობით.







და, იგი, როგორც ჩანს, ვერაინ იცნო და ვერაინ მიხვდა, ვინ იყო ან რა უნდოდა ამ საზოგადოებაში, თუმცა ვერც ვერაინ ჩამოაშორა საქონინო ამაღლს და ჩემ გაცივებას მართლა არ ჰქონდა საზღვარი, როცა 2012 წლის ზაფხულში ოლიმპიური თამაშების გასაშუქებლად ლონდონს ჩასულმა, დედოფალი ელიზაბეთ II-სადმი მიძღვნილი სოლიდური ფოტოალბომი ვიციდებ შიგ ბუკინგემის სასახლეში და პირველივე გადათვალისწინებისას აღმოვაჩინე, რომ ალბომის 56-ე გვერდზე დაბეჭდილია ქორნილის დღეს, 1947 წლის 20 ნოემბერს ბუკინგემის სასახლის ცნობილ აივანზე გადაღებული ოფიციალური, სამეფო კარის მიერ მოწონებული და გამოსაქვეყნებლად ნაბადართული ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი შვიდიდან ერთი პიროვნების ვინაობა გამომცემლებს ვერ გაურკვევიათ და ბრიტანული სიმშვიდით აუწყებენ მკითხველს, რომ ბუკინგემის სასახლის აივანზე დგანან (მარცხნიდან) მეფე ჯორჯ VI, პრინცესა მარგარეტი, დაუდგენელი, პატარძალი, ნეფე, დედოფალი ელიზაბეთი და დედოფალი მერი, სხვისი არ ვიცი და, ჩემთვის კი დასტურ დაუჯერებელია, რომ ასეთ გამოცემაში, ასეთ ოფიციალურ ფოტოზე, სადაც მხოლოდ სამეფო ოჯახის აღბეჭდილი, მისი ყველაზე ვიწრო შემადგენლობით (დედოფალი, მისი მეუღლე, მათი ორი შვილი, სიძე და დედადედოფალი), შვიდი ადამიანიდან ერთი უცნობი, დაუდგენელი იყოს, მაშინ როცა ასეთ დროს კადრში ვინმე უცნობი მოხვედრილიყო კი არა, ფოტოაპარატიდან ჩიტაც ვერ გამოფრინდებოდა სამეფო კარის სათანადო მოხელეთა საგანგებო ნებართვის გარეშე და რაკი ეს ყველაფერი უაღრესად მისტიკური ჩანს და რაკი მე სხვა ახსნა ვერ მომიძებნია, შეიძლება დავუშვათ, რომ ნიგნის რედაქტორმა ელიზაბეთ რობერტსმა და გამომცემლებმა თუ არა, სამეფო კარის კაცებმა მაინც ძალიანაც კარგად იცნან, ვინც არის ეს „დაუდგენელი“, მისი წარმომავლობაც უაღრესი სიზუსტით არის დადგენილი სპეციალური სამსახურების მიერ და ვისაც ეს ეხება, მათ ისიც უწყინან, რომ თეთრი გვირგვინით შემკობილი ეს ახალგაზრდა ქალი, სიმალლითაც, იერთაც და სამოსითაც ტყუპისცალივით რომ ჰგავს პრინცესა მარგარეტს, სამეფო აივანზე სწორედ მისი დაუდგენელი აღმოჩნდა დღეს შორის, სამეფო ოჯახის სხვა წევრთა და ნინდახედულ კარის კაცთა თუ კარის ნინდახედულ კაცთა წინააღმდეგობის მიუხედავად, და ამიტომაც აქვს შეცბუნებული სახე, მაგრამ არც ისეთი, მის დიდ ბებიას, ლამაზისეულს რომ ექნებოდა, თუ რაღაც განგებით მის ადგილას აღმოჩნდებოდა, თუმცა შეიძლება ისიც დავუშვათ, რომ ეს უცნობი ლამაზმანი სწორედაც ლამაზისეული გახლავთ, როგორც ის იქნებოდა, ჯორჯ III-ს რომ მეტად მოეწონებინა, საქართველოს ისტორიაც რომ სხვაგვარად წარმართულიყო და 1801 წელს რუსეთის იმპერიის ნაცვლად იგი ბრიტანეთის იმპერიის გვირგვინის ქვეშ აღმოჩენილიყო და, შესაბამისად, ლუარსაბიც, ბრიტანეთის მაშინ მომავალი და დღეს ახლანდელი დედოფლის ქორნილში ბუკინგემის სასახლის სამეფო აივანზე გადმომდგარი ამ დაუდგენელი პერსონაჟის დიდი ბაბუა, იქნებ სულ სხვაგვარად დაეხატა ილიას, ჭაჭვავაძეს, და რადიარდ კიპლინგიც ვინძლო მეტად აღფრთოვანებულიყო ბრიტანეთის იმპერიის ძალმოსილებით, ხოლო საქართველო დღეს ბრიტანული თანამეგობრობის წევრი ყოფილიყო და ამ ალბომში გამოქვეყნებულ ფოტოზეც შვიდი კი არა, ექვსი ადამიანი აღბეჭდილიყო, რითაც გამომცემლებიც და სამეფო კარიც კი გვარიან უხერხულობას აცილებდნენ თავიდან და არც მე შექნებოდა საკვლევ-საძიებელი იმ დაუდგენელი ლამაზმანის ვინაობა, ერთი მხრივ, და არ მომიხდებოდა ლუარსაბის შთამომავალთა ბიოგრაფიების თვალის გადევნება მთელი ხუთი თაობის მანძილზე, მეორე მხრივ, თუმცა არ არის გამორიცხული, ეს კვლევა-ძიება უფრო გაღრმავდეს, გაფართოვდეს და ხუთი თაობითაც არ შემოიფარგლოს, რაკი მაქვს უცნაური წინათგრძნობა, რომ სანამ ეს ჩემი ოპუსი გამოქვეყნდება, შეიძლება ლამაზისეულის შვილიშვილის (ლიზას) შვილიშვილის (ლიზა II-ის) შვილიშვილი მეთუ პერბერტი ჩემი კეთილი კოლეგის ირაკლი ლომოურის ნიგნში აღმოჩნდეს, რომელსაც „მოგზაუ-

რობა ოლიმპეოში“ ერქმევა და რომელსაც ქვეყნის სკოლებში დასარიგებლად 2014 წელს გამოსცემს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, მაგრამ ამავე დროს არ გამოვრიცხავ, რომ ავტორმა მეთუ პერბერტის ბებია იაშვილად მოიხსენიოს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სერჟიკა მდივანი სწორედ ამ გვარით გაცნობილიზა თათარიძეს პარიზში 1930 წელს, თუმცა აქვე ისიც უნდა დავუშვათ, რომ ბუკინგემის სასახლის აივანზე გვერდიგვერდ მდგარი მარგარეტი და ლიზა დები არიან, რასაც მათი საეჭვო მსგავსება გვაფიქრებინებს და რამაც შესაძლოა, სულ სხვა, უფრო ამაღლელები და სკანდალური ვერსიებისკენ გვიბიძგოს, სადაც სერჟიკა მდივანს ბრიტანეთის მეფე უნდა ჩაენაცვლოს, ან პირიქით, მაგრამ ამ ვერსიათა დადასტურებასა თუ უარყოფას არც დიდი ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურების მონდომება ეყოფა, არც ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია და აღარც ჩემი ფანტაზია, გარნა რომელ ფანტაზიაზეა ლაპარაკი, როცა ცხოვრება ისეთ ამბებს გვთავაზობს, რომლის მსგავსს ვერანაირი ფანტაზიის პატრონი ვერ გამოიგონებს და რომელთაგან ერთ-ერთი ისევე დიდი ბრიტანეთის დღევანდელი დედოფალს უკავშირდება, რომელიც, ჯერ კიდევ პრინცესა, 1952 წლის 5 თებერვალს ტრიტოპის ვერანდაზე დგას და სინეკამერის ობიექტივს უმიზნებს კარრას — ვეება მაშალ ბაბუის, რომელსაც ჩხუბში ზედა ტურნი დაუზიანებია, რის გამოც ესოდენ მრისხანე შესახედაობა მიუღია, რაც სულაც არ უშლის ხელს, მზრუნველად გაუძღვეს თავის თერთმეტსულიან ოჯახს წყალსატევისკენ მიმავალ ტყის ბილიკზე, თუმცა ერთი დედაბაბუინი მოსწყდა მის რაზმს და სასტუმროს საყრდენ ფიკუსს შეუყვავა კენჭეროსკენ და თან მისი თავისოდენა ბატატი დაითრია, რომელიც გზად მიმავალს მიანოდა ტრიტოპის რომელიღაც შინაკაცმა და სანამ იგი კარტოფილს გაფცქენიდა, უღეს და უღეს და უღეს ფოტო თუ კინო სულ რაღაც ორიოდ ფუტის მანძილიდან და ამასობაში ფაიფოქოქის დროც მოვიდა და როცა პრინცესა სასადილო ოთახში ჩაიხე შეიპატიჟეს, მან მორიდებულად ითხოვა, თუ ეს შესაძლებელი იყო, ჩაი ვერანდაზე გაეტანათ მისთვის, რათა არც ერთი წუთი არ დაეკარგა დაბინდებამდე და ჩაიც მიართევს და მიგაღ დასტუი ფოტოებიც, რომლებზეც ტრიტოპის ისტორია იყო აღბეჭდილი და პრინცესა ინტერესით ეც-

ნობოდა სასტუმროს ისტორიის ცალკეულ ეტაპებს მონადირის საფარიდან დაწყებული, ვიდრე იმდღევანდლამდე, როცა 4-ოთახიან კომფორტულ რეზიდენციაში უოლკერებმა სამეფო სტუმრობის უმასპინძლეს და სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ტრიტოპსში არც ერთი პრესმენი თუ ფოტოგრაფი არ დაუშვებს, ხოლო სულ სხვა საქმეზე მიწვეულ კორბეტს არც უფიქრია თავისი ფოტოაპარატის წაღება, და თუმცა სამეფო წყვილის კენიაში ვიზიტის შესახებ კინოპრონიკაც არსებობს და ფოტოების მთელი წყებაც, ტრიტოპის ეპიზოდი თეთრილაქსავითაა და იმ სამშაბათ-ოთხშაბათის ამსახველი თუ რამ ფოტო სადმე არსებობს, თავად დედოფლის მიერ უნდა იყოს გადაღებული და მის პირად არქივში უნდა ინახებოდეს, ხოლო სასტუმროს ჰოლებში ჩვენ მხოლოდ ტრიტოპის უპრინციესო ფოტოები დავგვხვდა, რომლებსაც მეც ისეთივე ინტერესით ვათვალიერებ, როგორც პრინცესა ათვალეიერებდა მათ 67 წლის წინათ, თუმცა ხუთსაათიანი ჩაის ნაცვლად ვისკის გეახლებით და ვეშაბადები ღამისათვის, როცა სასტუმროს პერსონალი წინასწარ დათქმული პირობითი ნიშნით ანუ ერთი, ორი, სამი, ოთხი თუ ხუთი გაბმული სირენით სასტუმროს ბინადართა გაგვავებინებს, რომელიც ცხოველი ეწვია იმ ღამეს მლაშობს წყლის დასალევად და ზედაც მარლის მოსაყრელად — აფთარი, კამეჩი, სპილო, მარტორქა თუ ლეოპარდი და მენც შეგიძლია გადაწყვიტო, მოუხადო თუ არა ბოდიში ძილის ანგელოზებს და გავარდე თუ არა ბინოკლით, ფარნითა და ფოტოვიდეოკამერებით შეიარაღებული იმ დროს იქ მოსული ნადირის გადასაღებად, თუ ძილი შეიბრუნო და შენთვის უფრო სასურველ სირენას დაუცადო, რომელიც შენი იქ ყოფნის განმავლობაში შეიძლება სულაც არ გაისმას, რადგან ცხოველთა ამ ხუთეულისთვის წინასწარ არ შეგითანხმებია შენი ვიზიტის ზუსტი თარიღი, ხოლო ფრინველები და წერილფეხა ცხოველები, როგორცაა, მაგალითად, გერგინოსანი წერი თუ წყლის თხა ან რომელიმე სხვა ანტილოპა აქ ხშირად, თითქმის მუდმივად არიან და სირენებით მათ გამოჩენას არ აღნიშნავენ, და თუმცა დღეს აქ აღარ მოქმედებს ძველი პრინციპი, რომელიც ჩინელთა ოდინდელ ტრადიციას ჩამოჰგავს, როცა ჯანმრთელი ჩინელი ექიმს გასამრჯელოს უხდის, სწეული კი არა, და რომლის თანახმად, თუ ვერ ნახე სასურველი ცხოველი, არც არაფერს იხდი, ტრი-

ტოპის სანახაობით მაინც ყველა ემყარებოდა, რადგან ვისაც წყალი მოსწყურდებდა და მოვა, შენც იმას დასჯერდებოდა უყურე და უყურე და დატკბი და დატკბი და დატკბი და ილე და ილე და ილე, რამდენიც გინდა და თავი თუნდაც იმით ინუშეგე, რომ მაინცდამაინც არც პრინცესას უნახავს იმ ღამეს ლეოპარდი, თუმცა ჩაის ფინჯნით ხელში ინტერესით გასქცეოდა ორ ანტილოპას, რომლებიც მას კორბეტმა დაანახა და რომლებიც, როგორც ჩანს, ტყეში დაწყებულ ორთაბრძოლას აგრძელებდნენ და როცა ერთი მათგანი იმდენად ღრმად შევიდა ნყალში, რომ ლამში ჩაეფლო და ნაიბორძიკა, მეორემ უყვლა და რქებით ეძგერა და პრინცესა სასწრაფოდ დასწვდა კამერას და ყურადღება არ მიაქცია ფოტოებს, რომლებიც მუხლებიდან ჩამოუსრიალდა და სინეკამერა მანამ არ გამოურთავს, სანამ ორივე ანტილოპამ ჯერ მალაღ ბალახში და მერე სულაც ტყეში არ დურთა თავი, ხოლო შემდეგ პრინცესამ ბინოკლი მოიმარჯვა და წყლის ზედაპირზე სისხლი რომ დაინახა, ხომ არ მოკვდებოდა, დაბრედილ ანტილოპაზე ჰკითხა კორბეტს, რომლის გამოცდილ თვალს არ გამოჰპარვია, რა მიმედ ლუთქავდა ტყისკენ მიმავალი ცხოველი და მისთვის ძნელი მისახვედრი არ ყოფილა, რომ იგი სერიოზულად იყო დაჭრილი და დიდხანს ვერ გაატანდა, რის შესახებაც უთხრა კიდევ პრინცესას, რომელიც დიდად დაასევედინა ამ ამბავმა, მაგრამ რას იფიქრებდა, რომ ანტილოპის სიკვდილი სულაც არ იქნებოდა ერთადერთი სიკვდილი იმ ღამეს და ის მეორე სიკვდილი, რომლის შესახებ იგი მხოლოდ მეორე დილას გაიგებდა, ბევრ რამეს შეეცვლიდა არა მარტო პირადად მის, არამედ მისი სამშობლოს და საერთოდ მთელი მსოფლიოს ცხოვრებაში, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო რამდენიმე საათის შემდეგ, მანამდე კი პრინცესის ყურადღება კვლავ მიიპყრო ბაბუინების ოჯახმა, რომელთა სამი წევრი სასიყვარულო სამკუთხედის თეორემის ამოხსნას თუ დამტკიცებას ცდილობდა, ხოლო კარრა, ოჯახის უფროსი, ნეტარებით გატრუნულიყო და თავისი ერთგული მეუღლის კალთაში ჩაედო გაბანჯგვლული თავი, რათა მას მოხერხებულად ამოეკრიფა იქიდან თმაში ჩაყურებული მკებნარები, პრინცესა კი ამ ყველაფერს იღებდა და იღებდა და იღებდა, ხოლო კორბეტი თავის ნიგნში ისე დაწვრილებით და სურათოვნად აღწერს ყოველივეს, თითქოს ტელევიზორში უყურებდე, როგორ იქექება ერთი ბაბუინი მეორის ბალახში, ან როგორ შედის ხუთი ტახი წყალსატეგში, ან როგორ ეჭიდება კარრას ერთ-ერთი ნაშიერი ანტილოპას უკანა ფეხზე, რომ ზემოდან მოექცეს კარგი მხედარივით და კულში მოქაჩოს ისე, როგორც ამას გააკეთებს 67 წლის შემდეგ ჩემსა და ნინოს თვალწინ კარრას შვილიშვილის შვილი ან იმისი შვილი და მე მიკვირს, როცა კორბეტი იმ თავის ბროშურაში ერთგვარად გვებოდიშება, რომ მას არ ჰყოფნის სიტყვები ბუნების მშვენიერების ჯეროვნად აღსაწერად, რისთვისაც, მისი აზრით, შთაგონებული მხატვარია საჭირო, მაგრამ რაც უნდ კარგად აღწერა რაგინდ შთაგონებულ მხატვარსა თუ პოეტს იმდღევანდელი ბუნების სურათები, ვერაფრით იქნებოდა იმ სიტყვებზე შთამბეჭდავი, რომლებითაც კორბეტი თავის ნიგნს ამთავრებს, რომლებიც მას მერე ვინ იცის, რამდენჯერ გაიმეორეს, რომლებიც დღემდე მაფორიაქებს, როგორც მსოფლიო ისტორიისა თუ ადამიანური ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე უთამბეჭდავი ფაქტის ყველაზე ზუსტად და ლაკონიურად ამსახველი ფრაზა და რომლისკენაც თავის ნიგნში კორბეტს ნაბიჯ-ნაბიჯ მივყავართ, როცა გვეუბნება, რომ მას ვერ წარმოუდგენია სხვა ახალგაზრდა წყვილი, რომელმაც ისეთი საამური დრო გაატარა, როგორიც გაატარეს პრინცესა ელიზაბეთმა და ედინბურგის ჰერცოგმა ტრიტოპსში 5 თებერვლის 2 საათიდან 6 თებერვლის დილის 10 საათამდე და რომ თავად იგი უაღრესად ბედნიერია, რომ მას პატივი დასდეს და ეს საათები მათ საზოგადოებაში დაჰყო, რაც არასოდეს ნაიშლება მისი მეხსიერებიდან და როცა მას მასპინძლებმა ვიზიტორთა შურნალი მიუტანეს, სადაც აკურატულად იყო ჩაწერილი იმ რამდენიმე საათიანი სტუ-





დასასრული

მრობის ყველა დეტალი და ჩამოთვლილი იყო ყველა ფრინველი თუ ცხოველი, რომელიც სამეფო წყვილმა ტრიტოპსში იხილა, მან ჩაწერა, რომ „პირველად ისტორიაში ახალგაზრდა ლედი ერთ დღეს ავიდა ხეზე, სადაც, განიცადა, როგორც თავად ჩაწერა ჟურნალში, უწარმტაცესი ემოციები, და მეორე დღეს იმ ხიდან დედოფლად ჩამოვიდა“ და ღმერთიმც აკურთხებს მასო, დასძენს დასასრულ კორბეტი, რომელიც თავისი ბროშურის ბოლოს სინანულით წერს, რომ იმ ფიქსისგან და ხის სასტუმროსგან, რომელთაც ელიზაბეთისა და ედინბურგის ჰერცოგის მასპინძლობის პატივი ხვდათ ნილად, წიგნის დაწერისას კუძის ერთი ნამწვავილაა დარჩენილი ფერფლსა და ნაცარში და რომ ოდესმე ამ ფერფლიდან კენიის კენწეროებზე აღორძინდება ახალი ტრიტოპსი და უკვე სხვა ტრიტოპსის სხვა ვერანდაზე ახალი თაობა ისიამოვნებს აქაურ ფრინველთა და ცხოველთა ხილვით, ხოლო ჩვენთვის, ვისაც გვახსოვს ის დიდებული ბებერი ხე და სტუმართმოყვარე მაჩანი, ტრიტოპსი აღარასოდეს დაბრუნდება და, სამწუხაროდ, თავად კორბეტი, რომელიც ამ სიტყვების დაწერისას ორ კვირაში გარდაიცვალა, მართლა ვერ მოესწრო ახალ ტრიტოპსს, თუმცა მისი აღორძინება კი ზუსტად იწინასწარმეტყველა და აი, მე და სოსო ჩვენ-ჩვენი ნინოებით, როგორც კორბეტის მიერ ნავარაუდები ახალი თაობის წარმომადგენლები, ახალი ტრიტოპსის ახალ ვერანდაზე ვდგავართ და ენით აუწერელ სიამოვნებას ვღებულობთ აქაურ ფრინველთა თუ ცხოველთა ხილვით, და არა მარტო სიამოვნებას ვღებულობთ, ფოტოზე თუ ვიდეოზე ვიღებთ და ვიღებთ და ვიღებთ და ვიღებთ და ვიღებთ ყველაფერს, რომ უკვე შინ დაბრუნებულემა სხვებსაც განვაცდევინოთ ამ სიამოვნების რაღაც ნაწილი მაინც და ამასობაში ჩრდილები დაგრძელდა და მზე გადაინვერა და სპილოებიც უფრო გავარდისფრდნენ, სწორედ ისე, როგორც იმ დღეს, 67 წლის წინათ, როცა იმ პირველი აივანიდან პრინცესა ბინოკლით უყურებდა, როგორ კედებოდა დაჭრილი ანტილოპა, რომელიც ცალს მხარს მიწაზე მიითრევდა და რომელსაც გულისპირს სისხლი სცხებოდა და როცა მას სამი სპილო მიუახლოვდა და ხორთუმები ყნოსვა თუ მოსინჯვა დაუნყეს და რაკი დარწმუნდნენ, რომ მკვდარი იყო, გულგრილად გამოდრდნენ, ხოლო კორბეტმა და სამეფო დაცვის უფროსმა პარკერმა სწრაფად ჩაირბინეს ტრიტოპსის კიბე და მისკენ გაემართნენ, მაგრამ სანამ ადგილამდე მიადნენ, ანტილოპა აღარ დახვდათ და კორბეტმა დაასკვნა, რომ, როგორც ჩანს, იგი იმ ორმა ლეოპარდმა წაათრია, რომელთა ნაკვალევს ის ტრიტოტპსში ამოსვლისას გადააწყდა ბილიკზე, ახლა ნელ-ნელა რომ იძირებოდა სიბნელეში, ხოლო ვერანდაზე ნავთის ფარნები აერთოთ და პრინცესა მათ შუქზე იმდღევანდელ შთაბეჭდილებებს რვეულში ინერდა, რათა შინ დაბრუნებულს თავისი კინოსიუჟეტებისთვის დაერთო და დაწვრილებით მოეთხრო ახლობლებისთვის, რა და როგორ ნახა კენიაში, თუმცა შინ ჩასვლამდე წყვილი ავსტრალიაში უნდა გამგზავრებულიყო ცვილონის გავლით, რისთვისაც მათთვის კენიის მთავარ ნავ-



პაატა ნაცვლიშვილი  
**ვეფხვისტყაოსანი**  
 ფრაგმენტი პირველი:  
**კენიის კენწეროები**

სადგურ მომბასაში უკვე მზად იყო ბრიტანული სამეფო ხომალდი „გოთიკ“, მაგრამ ვერაფერს ვერც „გოთიკ“ის კაპიტანი, ვერც მისი ეკიპაჟი და ვერც ვერაფერს მსოფლიოში, თუ არ ჩავთვლით ნაირობელ მონაზვნებს, რომლებიც, როგორც ეს ნორმან ჯერმენის მაშინდელ ფოტოზე ჩანს, ორი დღით ადრე მათთან მისულ პრინცესას ვეება ტრანსპარანტი შეგებებიან, სალამი ჩვენს მომავალ დედოფალსო, ვერ ნარმოიდგენდა, რომ ელიზაბეთი თავისი ამალით მომბასაში კი არა, უგანდაში ნავიდოდა და რომ მათ ცვილონისა და ავსტრალია-ახალზელანდიის ნაცვლად სასწრაფოდ ლონდონში მოუხდებოდათ დაბრუნება, სადაც სწორედ მაშინ, როცა კენიური ფიქსის ხეზე მჯდარი პრინცესა სინეკამერითა თუ რვეულითა და კალმით ხელში თავის ტრიტოპსულ შთაბეჭდილებებს აფიქსირებდა, ფილტვის კიბოთი დაავადებული მამამისი ძილს მისცემოდა და ბედისმწერლის გარდა არავინ უწყობდა, რომ ფილტვის კიბო კი არა, მას კორონარული ტრომბოზი იმსხვერპლებდა და ეს მისი უკანასკნელი ძილი იქნებოდა იმ მთავარი ძილის წინ, უფრო სწორად, ეს ძილი იმ მთავარი ძილის დასაწყისად იქცეოდა, და, რა თქმა უნდა, არ იყო ეს არც ჯიმ კორბეტმა, როცა იმ ამბის გაგებით აღფრთოვანებული, რომ პრინცესას მისი „კუმონის კაცი-ჭამიები“ თავიდან ბოლომდე ინტერესით ნაეკითხა, ეუბნებოდა მას, ძალიან შევწუხდი, ბიბისიმ მისი უდიდებულესობის ავადმყოფობის ამბავი რომ გადმოსცაო და ვაითუ გაცივდა, იმ ქარსა და ყინვაში აეროდრომზე თქვენი აქეთკენ გამოცილებისას უქუდოდ რომ მდგარაო, რაზეც პრინცესას უპასუხია, — მამა ასეთია, არასოდეს

თავის თავზე არ ფიქრობსო და მე რე ხალხით გაუგრძელებია ბაასი იმის თაობაზე, თუ ხანგრძლივი ავადმყოფობის მიუხედავად, რამაც მთელი ოჯახი დიდად დაზარა, როგორ გამოკეთდა ბოლო ხანებში მეფე და როგორი ოპტიმიზმით აღივსო, იქამდე, რომ ისიც კი უთქვამს, ეტყობა, კრიზისი დაეძლიე, კიდევაც ვნახავ გაზაფხულს, კიდევაც ნავალ სანადიროდ და წასულა კიდევ და, ეტყობა, ნადირობის ხსენებისას პრინცესას მამამისის ის ბოლო ნადირობა გაახსენდა და თქვენ თუ გინადირიათ მწყრებზეო, კორბეტს ჰკითხა, რაზეც კაციჭამია ვეფხვებზე მონადირე კორბეტმა უპასუხა, — კი, მიცდია, როგორ არა, მაგრამ უფრო ხშირად ნარუმატებლადო და პრინცესამ ანუგეშასავით, შოტლანდიურ მწყრებზე ნადირობა ძალიან ძნელია, გამოცდილ მონადირეებსაც კი უჭირთო და სიამაყით დასძინა, რომ გამოკეთების შემდეგ მამამ ორმოცდასამი მწყერი მოკლა და მხოლოდ ერთი გასროლა გაუცუვდა და სახე გაეზარდა, როცა კორბეტმა მიუგო, ეს ბრწყინვალე შედეგია, მე მთელი კვირით გავსულვარ მწყერზე და დიდი ვერაფერი მომიწადირებიაო, რაზეც პრინცესამ უპასუხა, დიახ, მამაჩემი საუკეთესო მსროლელია და დღესაც, 5 თებერვალს, იგი ისევ სანადიროდაა წასული და ხვალინდელ დღესაც ნადირობაში გაატარებსო და დიალოგის ვერც ერთი მონაწილე და ვერც ერთი შესაძლო მსმენელი ვერ იფიქრებდა, რომ მეორე დილას ბიბისი არათუ მწყრებზე ნადირობის, არამედ მეფის გარდაცვალების ამბავს გადმოსცემდა და რომ ტრიტოპსში მყოფი პრინცესა, ვისაც ყველაზე მეტად და ყველაზე უშუალოდ ეხებოდა ეს ნიუსი, იქ მყოფთაგან ყველაზე

ბოლოს გაიგებდა ამ მოულოდნელ და სამწუხარო ამბავს, რომელიც პრინცესის ამალიდან პირველმა მისმა პირადმა მდივანმა, ლეიტენანტ-კოლონელმა მარტინ ჩარტერისმა შეიტყო, ვისაც ის ღამე ნიერიში, საგანიდან 27 კილომეტრში მდებარე „აუტსპან-ჰოტელში“ გაეთია და თუმცა დილას ლონდონიდან ნაირობიში გამოგზავნილი დამოფრული დეპუტის ნაიტიხვა ვერ მოეხერხებინა, რადგან შიფრი გუბერნატორის სეიფში იყო საიმედოდ ჩაკეტილი, მისი გასაღები კი გუბერნატორს თან წაელო ნიერიში, სადაც ადგილობრივი გაზეთის „ისტ აფრიკან სტანდარდ“ის რეპორტიორს გრენვილ რობერტს ეთქვა მარტინ ჩარტერისისთვის, ბიბისიმ რადიოთი ასეთი და ასეთი ცნობა გადმოსცაო და მე რე ეს ამბავი ტელეფონით ედინბურგის ჰერცოგის პირად მდივანს და სამეფო დაცვის უფროსს, კომანდერ მაიკლ პარკერსაც გააგებინეს, რომელიც სამეფო წყვილთან ერთად ის-ის იყო დაბრუნებულიყო ტრიტოპსიდან საგანაში, და როცა მან მეფის გარდაცვალების ცნობა რადიოთიც მოისმინა, შუადღის ძილით ჩაძინებული ჰერცოგი გააღვიძა და ისიც ამ ამბის გაგებისთანავე ელდანაკრავით წამოხტა და მე რე, როგორც პრინცესის სეფექალი და მისი ერთ-ერთი მეჯვარე პამელა მაუნტბატენ-ჰიკსი იხსენებს, საგანის სამეფო ლოჯიის აივანზე გასულა, რომლის ბოლოში მდგარ მომცრო მაგიდას პრინცესა მისჯდომოდ და მომბასაში გამგზავრების წინ კენიური ვიზიტის ანგარიშს სწერდა მამამისს, რომლის გარდაცვალებით შერძნებული ჰერცოგი იმაზე იმტრევედა თავს, როგორ და როდის შეეცდობინებინა უკვე გადედოფლებული პრინცესისთვის ეს ამბავი, რომელიც, როგორც პამელა მაუნტბატენ-ჰიკსი გაიხსენებს სიცოცხლის მიწურულს, შოკს მოჰგვრის ელიზაბეთს და, მისივე მოგონების თანახმად, ედინბურგის ჰერცოგს დაუყოლიებია მეუღლე, რომ ცოტა ხნით ზალში, მდინარის პირას განიავებულყვენ, სადაც წინა დღეს უკვე ესეირნათ და სურათებიც გადაეღოთ, და სწორედ აქ ადგილობრივი დროით 14 საათსა და 45 წუთზე, ხოლო გრინვიჩის დროით 11 საათსა და 45 წუთზე უთქვამს 6 თებერვლის დილას მისთვის ეს ორპირი ამბავი და როცა უკან შებრუნებულან და პამელას გულში ჩაუკრავს ელიზაბეთი, უცებ გაუზარებია, რომ ის უკვე დედოფალი იყო და გუნებაში „ღმერთოჩემოს“ ძახლით ქვეშევრდომული რვეერანსი გაუკეთებია, რასაც მალევე მოჰყოლია დედოფლის სიტყვები, ძალიან გუნჯვარ, რომ ყველანი ლონდონში უნდა დავბრუნდეთო და მაშინ იყო, რომ მარტინ ჩარტერისი, რომელსაც სასახლის კარის პროტოკოლით ასეთ შემთხვევაში პრინცესის გადედოფლების ოფიციალურად გაფორმება ევალებოდა, რისთვისაც დეკლარაციის წინასწარ დაწერილი ტექსტიც და ბეჭედიც კი ჰქონდა თან წამოღებული, მიუახლოვდა ელიზაბეთს, მდაბლად დაუკრა თავი და, თქვენო უდიდებულესობა, რა სახელით ინებებთ გადედოფლებასო, ჰკითხა და იმანაც, დიდხანს რომ არ უფიქრია, ისე უპასუხა, რა თქმა უნდა, ჩემი საკუთარი სახელითო და ლედი პამელას სიტყვებით,

**გაგრძელება იქნება**  
 ტექსტს ერთვის დინარა ნოდის გრავირა და ნორმან ჯერმენის ფოტოები.

The Royal wedding party appear on the balcony of Buckingham Palace.

From left: King George VI, Princess Margaret, unidentified, the bride, the groom, Queen Elizabeth and Queen Mary.



დასასრული

ყველანი ცხენებზე და სანამ დროა, აქ-აურობას გავეცალოთ. როგორც ჩანს, ცოდვებმა გვინია და გულის საუფლოში, ჯოჯოხეთის კარიბჭესთან, დავეცი ბანაკი და მათი რისხვა დავიტეხეთ თავს ან სხვა რამის გამო განვარისხეთ და დაგვსაჯეს!.. შორს, შორს აქედან!.. საწყალ მანსურს კი, რომელსაც მინც უნია თავისმა სიჯიუტემ და თავზეხელაღებულობამ და დაილუპა, გზაში გაჭენებულ ცხენებზევე აღვუვლენთ დუაჰს და სულთათანას. მის ცხედარს ხელი აღარავინ ახლოს. შეიძლება, ავსულმა გულში თავისი სილამაზით ისევე გაჩხიბა, როგორც საუკუნეების შემდეგ ავღანეთში, კავკასიასა და ბალკანეთში დახოცულ მტრის ჯარისკაცებს დანაღმავენ, რომ მათი ჭირისუფლებიც მალე მიეწიონ უკან — საიქიოსკენ მიმავლებს.

დაფეთებულმა ბიჭებმა სიხარულით დამიჯერეს, სასწრაფოდ ახსნეს ცხენები და ერთიმეორის მიყოლებით მოექცნენ ზურგზე. ახალბედები უიღურებისა და ყირგიზ-ყაისაყების ნაალაფარ ხვასტაგს დაუტრიალდნენ და მათრახების ისეთი ცემა და ტყლაშა-ტყლუში ატეხეს, ტანში ურუანტელმა დამიარა. მათ გამყინავ სტვენას გაჰქონდა იქაურობა. დედამინამაც თითქოს შეწყვიტა ტორტმანი და ცხენებისა და საქონლის ფლოკების, ყრუ, მშობლიური გუგუნით გაივსო. ამან თითქოს ცოტა დაგვამშვიდა. მხოლოდ მანსურისაკენ გახედვა გვიჭირდა და იმის დანახვა, როგორ იწვავდა ახლადშექმულ თავის ქალაზე ფაფახჩამოფხატული. ბიჭებმა მანსურის საწყალი ცხენიც კი არ წამოიყვანეს თან, რომელიც თავის პატრონის ცხედარს თავზე დასდგომოდა, არ სცილდებოდა, საბრალობლად ჭიხვინებდა, ფრთხვინავდა და ისეთი გაოგნებული დაჰყურებდა, თითქოს, ჩემი არ იყოს, საკუთარ თვალებს არ უჯერებსო. ამის დანახვაზე ცრემლი მომერია — ჭეშმარიტად მეომარი ჯიგიტისთვის მისი ცხენი ღვიძლი დედამამიშვილივით ახლობელია. ჩემს არაფშას კისერზე ხელი მოვუთათუნე, მოვეფერე და ვთხოვე, აქაურობას ჭენებით გაცლოდა. მთელი ჯარი, ვინც კი მტრის სატევარსა და ისარს, მერე კი ავსულის საბედისწერო და ჯოჯოხეთურ სილამაზეს გადაურჩა, დგრილით მომყვა უკან. საქონლის მარეკი ბიჭებიც კარგად დანინაურებულებიყვნენ, ვიდრე წამოვეწიეთ.

გადანყვეტილი გვექონდა, ჩვენს მშობლიურ ყიშლამდე შეუჩერებლად გვევლო, მაგრამ მინც გავჩერდით, როდესაც შუა სტეპში ერთი მობრეცილი ქოხი და ნახევრადშიშველი ბავშვები დავინახეთ, რომელიც აქეთ გზობაზე არც შეგვინიშნავს. გადავწყვიტე, ახლოს მივსულიყავი, თუმცა კი გული მიკანკალებდა, კიდევ რაიმე ილბისის ხვანჯები ხომ არ არის-მეთქი. ბიჭებმაც ბევრი მიშალეს — კარგად გახლდით დამფრთხალე, ღმერთს ვერ გამოაპარებ, მაგრამ აღნაგებული მშიერი ბაღების ცოდვამ არ დამაყენა. ყოვლადმონყალე ალლაჰის ნებით სწორადაც მოვექცეულვარ, რომ შემეცოდნენ და სიბრაულეს მიეყვი. ქოხში ერთი უსინათლო დედაბერი დაგვხვდა — ამ ბაღების ბებია — მე, მოხუცი კეთილი ქარავანბაშისა და მწიგნობრის — აბუ ბაქარის — ქვრივი ვარ, შვილები ჭირმა გამიწყვიტა, დარდისგან და გამუდმებული ტირილისგან თვალის სინათლე დავკარგე, ეს უბედური ბავშვებილა დამჩნენ ხელზე და, აი, ასე ერთმანეთს დავათრევით. ბიჭებს დაველაპარაკე, სამი კარგი მეწველი ძროხა, ოციოდე ცხვარი, რამდენიმე თხა და ერთი ცივზრდილი ვაცი დავუტოვეთ ცხვრების სამწყემსად. ცხენებს, აქლემებს, ხარებს ესენი ვერ აუვიდოდნენ და ეგება ეს საბრალო კიდრმავეული დედაბერი დაეშავებინა დაბრუნებულ და მადლი შარად გვექცეოდა... რაც იმ ბებომ გვლოცა და ჩვენც ცოტა გული გაგვითბა, რომ სიკეთე გავაკეთეთ.

სასწრაფოდ გამოვექროდით. გზაში კიდევ დავიჭერდი ყოვლადმონყალე ალლაჰის მიუწველოდ და შეუცნობელ განგებზე. სისხლიანი სატევარით ადამის ძის სისხლით და კაცის კვლით მოპოვებული ალაფით — ოქროთი თუ ხვასტაგით გაკეთებული სადაც რამდენად ღვთის სარგო და მადლია სინამდვილეში? ან, აბა, რა სჯობს — ცოდვით მოპოვებული სარჩო და განძიც არავის გაუნანილო და მარ-

ტომ შეთქვლიფო? ეგა სჯობს? თუ არც ითარემო, არც არაფერი მოიპოვო, არც რა დაკარგო, ვერც გამიარჯვო, ვერც დამარცხდე და საწყალობელი და წმინდათა სწორი მამაჩემი ჯემალ ედ დინივით ისე უჩუმრად იცხოვრო სიკეთით აღვსილმა და ბოლოს ისე უჩუმრად ჩაქვე გარეთ ქარში დარჩენილი ჭრაქივით, რომ შენი უბედური, მანანნალა და ცალთვალა ბიჭის გარდა ვერც ვერავინ გაიგოს და არც არავის ახსოვდეს, როდის გაჩნდი და როდის გაქრი? თუ მართლაც ილბაზე და ბედისწერაზე ყველაფერი?.. აი, ახლაც ამ დედაბერზე ზუსტად ისევე ავტყვი, მივიდეთ-მეთქი, როგორც უბედური მანსური ბრძოლის დროს. ხომ სულ თავისუფლად შეიძლებოდა, ეს ქოხი, უსინათლო ბებო და ღნავალა ტიტველი ბავშვები კვლავ გამძ-

დის როგორ სჯობს, რომ მოიქცეს?.. ახლა უკვე საბოლოოდ გადავწყვიტე, შევშვებოდი იმ კახის გადებულ ნურ მუჰამად ბანს. ამდენი განსაცდელის შემდეგ ისე გაფერმკრთალდა ჩემი ჯავრი მისადმი, ისე იოლად მეჩვენებოდა მისთვის ანგარიშის გასწორება და სამაგიეროს გადახდა, რომ მთელი ჩემი ამდენი ხნის ბოლმა, ფიქრი და განცდები, ასე რომ გამტანჯა იმ დღის შემდეგ, რაც თვალის გამომთხარა, ძალიან უბრალოდ და სასაცილოდაც კი მეჩვენებოდა. აღარც ის მსახვრალი ეჭვი მანუხებდა, შევძლებდი თუ არა ნურ მუჰამად ბანზე შურისძიებას. უკვე მეორე სისხლისმღვრელი ბრძოლა ჩავატარე ძალიან სახელიანად, საბრძოლო ჭრილობებით მქონდა აჭრელბული მთელი სხეული და ახლა საკუთარ თავს კი არა, მთელს დე-

გაქაფული ცხენებიც მიხვდნენ, რომ სამშვიდობო ახლოს იყო და გაფრინდნენ... — ვალაჰი, მოვალნიეთ, ჩვენი ყიშლალი, ინ შალაჰი, კიდევ ნახავთ ჩვენს სახლებს, ძმებო! — გაჰყვიროდნენ მტვერში გახვეული ბიჭები, ერთმანეთს ცრემლს აღარ უმაღავდნენ და მათი ყიჟინა, სტვენა, მათრახების ტყლაშუნი და მოკივლება ცას წვდებოდა.

მთელი ყიშლალი, ქალიან-კაცინად და დიდიან-პატარინად, გამოგვეგება. არაბი მულაჰი იბრაჰიმი, ჰაქიმი ჰაფიზულა ამინი, სწავლული ულუმები, შეიხები და დარბაისლები შემოგვეგებნენ და ხოტბა შეგვასხეს, გვაქებდნენ და გვადიდებდნენ. იმდენი დავლა და ალაფი ყველაზე მოხუცი ალსაყალის მოგონებებშიც კი არ ღირსებია ჩვენს ყიშლალს. შუკები და ორლობები საქონლით გაივსო, ფეხს ველარ აუქცევდი. თუმცა როცა დახოცილი ბალათურების სახლებში წვილ-კივილი და გლოვა ატყდა, განსაკუთრებით კი უბედურად წასული მანსურის მხარეს, სადაც ყველაზე მეტი ჯიგიტები დაილუზნენ, ტანში ურუანტელმა დამიარა. გლოვის ხმის გაგონებისას ისევე ის გავიფიქრე — თუნდაც ამხელა და ან ორი ამხელა სიმდიდრის და ალაფის დროსაც კი ღირდა ამდენი სიკვდილი და უბედურება და გლოვის ძაძებში შემოსილი ოჯახები?.. მითუმეტეს, რომ ხოტბა-დიდებასთან ერთად ჭირისუფლებისგან შეკითხვები და საყვედურებიც გაისმა.

ჩვენ, თარემის მონანილენი, ვინც კი ცოცხლები მოვბრუნდით ყიშლალის მოედანზე ჯუმა მეჩეთის წინ — ყადის, შეიხების და სწავლული ულუმების თვალწინ და თანდასწრებით, წმინდა წიგნზე — ყურანზე — ხელის დადებით მტკიცე და სამინელი ფიცითა ფიცით და ისე მოვეყვით ჩვენი ლაშქრობის, ბრძოლის, უკან დახვევისა და წყეული მარიდების თავდასხმის ამბავი. ყველა ჩვენთაგანის მონაყოლი ერთნაირი, დამაჯერებელი, უტყუარი და მართალი იყო ყოვლადმონყალე ალლაჰის წინაშე. ამის შემდეგ ალაფისა და ხვასტაგის განაწილება დაიწყო. მსგავსი სიმდიდრე და დოვლათი ჯერ ჩვენს ყიშლალს არ ღირსებია. ყველა მე მაქებდა და მადიდებდა, ყველგან ჩემი სახელი ისმოდა, მაგრამ მე ისეთი დაღლილი ვიყავი, ცხენზე თავს ძლივს ვიკავებდი, უნაგირზე ზეზეულად მეძინებოდა, ამიტომ ალაფის განაწილებას აღარ დავსწრებოვარ, ერთი ეგა ვთქვი ჩემი სიტყვა მოედანზე — ამ ლაშქრობაში დაღუპული ბიჭების ოჯახების კუთვნილი წილის ზემოთ კიდევ ორი იმდენი წილი მივეცეთ-მეთქი, რაზეც ყიშლალის უხუცესები და სასულიერო პირები შეყოყმანდნენ — მართლაც ძალიან ბევრი გამოდიოდა, მაგრამ ჩემმა თანამებრძოლებმა მხარი დამიჭირეს და ჩვენი გავიტანეთ... ამის მერე დაღლილ დაქანცულმა ჩემს სახლამდე მივალნიე და ბანზე ვერგევე გაუხდელად მივეგდე გამოცარიელებული ტომარასავით. ისე ვიყავი გასაგათებული, ჩემს ბებერ ავ ცხენ, არაფშას, უნაგირიც კი არ მოვხადე, არც ალვირი წამიყრია. მას შემდეგ, რაც იმ წყეულ ღამეს გადავიტანეთ, გული რომ დაგვეცა, დაძინებისაც კი მეშინოდა, მაგრამ მინც მომეკიდა რული და სწორედ ამ დროს გამოჩნდა ეშმაკივით ეს შეჩვენებული ჩვენი ყიშლალის ყასიყი ალლაჰნაზარი, რომელიც მარტო დაღერღებოდა და რადგან მის პატრონ არაბ მულაჰი იბრაჰიმს მისთვის არ ეცალა, ჩვენი სისხლით მოპოვებული ნადავლის მიტაცებითა და განაწილებით იყო გართული.

ალლაჰნაზარი პირდაპირ სახლთან მომადგა და თავისებური ყიჟინა დამცა: — ოუუ, ბაბურ, დაბრუნდი, ბაბურ?! რა მაგარი ხარ, ბაბურ! როგორ მისარია, რომ დაბრუნდი, ბაბურ! ისევე ბევრი მტერი დახოცე, ბაბურ?.. სანამ შენ იქ გმირობდი და მტერს სიცოცხლებს და ალაფს ართმევდი, შენი ზულეია წაიყვანეს, ბაბურ!

უცებ ვიგრძენი ორივე ამოთხრილი და სალი თვალისგანაც როგორ ამომასხა ერთად სისხლისფერმა ცეცხლმა. დაღლილობა და ძილი ალლაჰნაზარის ყიჟინამ უკვალოდ გააქრო... ეგრევე ბანიდანვე დავახტი ჩემს ცხენს, უნაგირზე გავნექი, გამწარებულმა, როგორც თავშესაფარში, ისე ჩავრგე მის ფაფარში ჩემი ნაიარევი დამახინჯებული სახე და ისარით გაფრინდი მამიდაჩემის — ხადიჟათის — ყიშლალისკენ ნურ მუჰამად ბანთან...

### ბექა ქურხული თვალდაკარბული ყიშალის ჩანაწერები



ვინვარებული შაითანის ხაფანგი ყოფილიყო, როგორც ის ულამაზესი გული თავისი ლანდების ამალით, რომლებმაც საწყალი მანსური ცხვრის ბეჭვით მიირთვეს?.. ახლა ჩემ გამო მეც და ჩემი ჯარიც რომ გადავვსანსლეთ მაქციებს, ვისზე იქნებოდა მთელი ცოდვა, ვინ იქნებოდა ბრიყვი, მტერი, სულელი და თავისნათქვამა?.. მე, რა თქმა უნდა, ხო?.. ახლა კი გმირი ბაბური ვარ, ცალთვალა ტრამალის მგელი, რომელიც საუკუნეების შემდგომ, ევროპის შუაგულში, ჰერმან ჰესესს დაწერს!

ანდა შიშის გამო ეს უმწეო, უსინათლო მოხუცი ბებო თავისი მშიერი, დაფრთხული შვილიშვილებით გვერდზე რომ მომეტოვებინა, არ მივხლოვებოდი და არ გამეკითხა, ალბათ ვერც გადარჩებოდნენ, შიმშილით ამოწყდებოდნენ და ხო მათი ცოდვაც მე დამედებოდა, რომ შიშითა და ლაჩრობით მოხუცებულ, დედაჩემისტოლა ქალს და ბავშვებს ვუგანე და სასიკვდილოდ გავწირე? რითი გავიმართლებდი თავს ყოვლადმონყალე ალლაჰის წინაშე ისედაც ყელამდე სისხლში და ცოდვებში ჩაძირული? როდის რა უნდა ჰქმნას ამ უბედურმა ადამის ძემ ამ მუხთალ წუთისოფელში, რო-

შტი-ყიფრალეთში ველარავის დავარწმუნებდი, რომ მე ვილაც ნაბოზვარ ნურ მუჰამად ბანთან ანგარიშის გასწორება გამიჭირდა და მისი შემეშინდა.

როგორც თავიდანვე ვიფიქრე, მიუგზავნი ჩემს მამიდაშვილებს, მათ ბრძენ პატივცემულ მამას, ჩვენს თეთრწვერა ალსაკალებს, არაბ მულაჰი იბრაჰიმს, დამსახურებულ ჰაქიმ ჰაფიზულა დურანაჰმადს და ყურანზე ხელის დადებით ვიტყვი, რომ მაღალი ალლაჰის სახელით მიპატიებია ჩემი თვალის, ყაბული მითქვამს და ალალ მისი!.. ოღონდ ჩემს შეყვარებულ ზულეიას მას კი არა, ზეცას და ქვესკენელს არ დავუთმობ... თუ თვითონ თავის დანიშნულ ზულეიაზე ხელს აიღებს, რომელსაც, ყველამ იცის, რომ მე ვუყვარვარ, ჩემს ამოთხრილ თვალსაც ვაპატიებ, გაღებულ ურვადსა და ყალიბსაც დავუბრუნებ და ზედ კიდევ იმდენ საქონელს დავუმატებ, მთელი მათი ყიშლალის გოგოებს მოიყვანს ცოლად და კიდევ მის შვილიშვილებს დარჩებათ.

ჰორიზონტზე ჩვენი მშობლიური ყიშლალის განაპირა მწვანე ბაღები გაილანდა. ბიჭებმა ცხენებს ალვირები მიუშვეს,



რას სხსნიან აქვთ, რა ბედნიერია ყველა. გამვლელ-გამომვლელი ერთმანეთს სულ თვალელებში შესცივინებს და უღიმიან. დიდი, პატარა, ქალი, კაცი — ყველა მომცინარი სახით დადის.

ნუთუ გაიღვიძეს ამ დღით და მოწესრიგებული, მოგვარებული დახვდათ ყველაფერი, აღარ აქვთ პრობლემები, აღარაფერი აწუხებთ? სად გაქრა უამრავი სანერვიულო, საზრუნავი და საფიქრალი, დალაგებულ, აწყობილ მდიდარ ქვეყნებშიც თავზე საყრელი რომ აქვთ ადამიანებს. ამით კი შეხედე ერთი, აღარ იციან, რა ქნან — ნაცნობი და უცნობი, ყველა ერთმანეთს ეფერება. თითქოს პრობლემები, როგორმე ასიაშოვნონ ერთმანეთს, აღარ არიან ერთმანეთის პატივისცემით. აღარც კრიმინალია თურმე, ინსტიტუტურად თუ არ მოუვიდათ, მანქანის და ბინის კარსაც აღარ კეტავს არავინ.

რამ გადარია ეს ქალაქი და მთლიანად ეს ქვეყანა. ან რა ჯიშის და ეროვნების ხალხი ცხოვრობს აქ, საერთოდ ვინ არიან ესენი.

ეს ერთი ძალიან პატარა ქვეყანაა, არა ამქვეყნიურად და არანორმალურად ლამაზი, უძველესი საოცარი კულტურითა და საბედისწერო ისტორიით, კეთილი გაგებით თავის არანორმალურ ხალხთან ერთად. დიახ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და სწორი გაგებით. აბა, ესენი რომ ნორმალურები იყვნენ, რას მოაღწევდნენ აქამდე, მთელი უძლიერესი მსოფლიო იმპერიები, მათი უღამაზესი მონა-წყლის დაპყრობას ცდილობდნენ საუკუნეების მანძილზე. არნახული თავგანწირვა და ვაჟკაცობა რომ არა, დიდი ხნის წინ გაქრებოდა, ამოჟღერებული და განადგურებული იქნებოდა ამათი სახსენებელი.

სისხლი ადამიანებისა აქვთ, ძვალ-რბილიც და ყველა ორგანოც, თან კარგებიც არიან შესახედებად, განსაკუთრებით, ქალები ჰყავთ უღამაზესი, ტვინებიც ადამიანების აქვთ, ოღონდ რაღაც სხვანაირად მონყობილი. ამათ რომ სიყვარული იციან, ისეთი არსად გენახოთ. ძალიან კაცთმოყვარეები არიან, თან გადაყოლა იციან ადამიანზე, სტუმარი წმინდაა მათთვის, მტრად არ უნდა მოეგინო და არ უნდა გააბრაზო, თორემ მერე შეგიძლია დაივიწყო შენი არსებობა. პატიება და მიტევებაც უდიდესი აქვთ, სულგრძელობა და ტოლერანტობა ამათი მოგონილია, მგონი. ტაშ-ფანდურსა და დროს ტარებაზე გიჟდებიან განსაკუთრებით, არც პრობაში ჩამოუფარდებიან ვინმეს, ოღონდ თუ მოინდომეს, იმ შემთხვევაში. ნიჭი ხომ საერთოდ, მრავალმხრივ უნიჭიერესი ხალხია ყველაფერში. მოკლედ, ამათი გენიალურობის და, საერთოდ, ზოგადად ფენომენის დასადგენად, მსოფლიო კონსილიუმია მოსანვევი, მრავალწლიანი გამოკვლევების ჩასატარებლად.

სად გსმენიათ, სად გინახავთ, სად გაგონილა და სადაური ნორმალურობაა, დედა შეილის სიკვდილით ამწყობდნენ. ნუთუ შეილის სიყვარულზე მეტი არსებობს რამე, რა არის ამაზე დიდი, ამაზე დიდებული, რა სახელი აქვს, რა ქვია აბას. რა ჰქვია და საქართველო და სამშობლოს დასაცავად შენიშული ვაჟკაცი.

დიახ, ეს ის პატარა ქვეყანაა, საქართველო (GEORGIA), ბოლო ერთი თვის მანძილზე მსოფლიო ყურადღების ცენტრში რომაა მოქცეული. დღეს ფინალია, ახალი მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა უნდა გაიკვეს ფეხბურთში. ერთი სიტყვით, ყველაფერის მთქმელი დიდი ინგლისი და საერთოდ მოკრძალებული და ამავე დროს თავგებედი საქართველო. მოსდომება მსოფლიო ჩემპიონობა ამ ერთ მუჭა ხალხს, თითქოს აღარ არსებობდნენ უდიდესი საფეხბურთო ქვეყნები — ბრაზილია, არგენტინა, ესპანეთი, იტალია, უკან რომ ჩამოიტოვებს ყველა და ამ საღამოს კი „უემბლიზე“ გაკვეთილი უნდა ჩაუტარონ ფეხბურთის მასწავლებლებს.

აი, თურმე რატომ არის, ისედაც გადარეული ერი ახლა სულ გადარეული და ბედნიერი რომაა, აი, თურმე რამი ყოფილა საქმე. დღეს რომ ჩემპიონები გახდებიან, მერე უნდა ნახოთ, როგორ ყირაზე ივლის ყველა, ნახევარფინალში გასვლის შემდეგ ოფიციალური უქმეობა გამოცხადებული. აღარაფერი მუშაობს სტრატეგიული სამთავრობო ობიექტების გარდა, ფეხბურთით ცხოვრობენ. უფრო სწორად, რაღაც აღმაფერებით, რაღაც უდიდესი სიამაყის

განცდით, სულ სხვა, უსაზღვროდ დიდი ემოციით გაჟღერებული აქვთ გულეები. არა, ეს ფეხბურთი აღარაა, აღარც სპორტული ჟინია უკვე, ეს უფრო მეტია, საუკუნეების მანძილზე ხშირ სიხარულს მოკლებული, ათას ომგამოვლილი, ამაყი ქვეყნისა და ერისთვის...


მატჩი დასასრულს უახლოვდება და გოლი არც ერთ კარში ჩანს, თანაბარი, უშეღავათო ლამაზი ბრძოლა მიმდინარეობს ფეხბურთის სამშობლოში, მთელი მსოფლიოს თვალი „უემბლისკენა“ მიმართული, გარინდულია ერთი პატარა ქვეყანა და ერთ გულისცემად არის გადაქცეული. ჯერ მერვედფინალში გასვლა იყო საოცრება, მერე ნახევარფინალი ხომ საერთოდ და ახლა ფინალი. ქართველ ხალხს თავისიზმარში გონია, ასე ამბობენ, გეგმინია არ გამოგვევლიდოსო. უკვე დიდი წარმატებაა ის, ახლა რაც აქ ხდება, მაგრამ ადამიანი ხომ ისეა მოწყობილი, რომ მიღწეულს არ ჯერდება და უფრო მეტი უნდა. რაღაც უნდა მოხდეს ამ დარჩენილ წუთებში, რაღაც უნდა გადაწყდეს, მაგრამ

ზე უფროსებთან ეზოში, როგორც ახლა ვარჯიშებზე, აიღე შენს თავზე, გნებაეს, პასსაც ნუ გააკეთებ, დაიჭირე ბურთი და შეიტანე კარში, შენ ეს შეგიძლია!“ — პირველი გადანერა შვილს და ჩააბარა იქვე შეცვლისთვის მზადყოფნაში მდგარ სათადარიგო მსაჯებს.

დამთხვევაა თუ კეთილი ბედისწერა ნეტა, ზუსტად 16 წუთია დარჩენილი თამაშის დამთავრებამდე და მოედანზე 16 წლის 16 ნომერი შედის.

ღმერთო ჩემო, რას შეგება ეს ბავშვი, ნუთუ მამამისის სიტყვები მართლა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო, პასს არავის აძლევს 16 ნომერი. არა, რატომ უნდა შეუშალოს ხელი, მისცეს შენიშვნა, კარგადაც გამოსდის. ერთია მხოლოდ, თუ ასე გააგრძელა, აუცილებლად მოამტკრევენ ფეხებს, გამოიყვანენ წყობიდან. ჯანდაბას, ხეიბარს ნუ დატოვებენ ოღონდ. გადარეულია მთელი სტადიონი და მთელი მსოფლიო, ასეთი არავის არაფერი უნახავს, ამჟამად პასს არ აკეთებს 16 ნომერი, დაადებს თავს და მიინევს მონინაღმდეგ-

უჩა მიშველიძე



ინგლისი — საქართველო 0 — 2

ანუ ტკბილი სიზმარი

ვის სასარგებლოდ ნეტა, ვის უფრო სჭირდება გამარჯვება, ვის? გალაღებულ ინგლისს თუ გაჭირვებულ საქართველოს?!

მოგებული თამაშების შემდეგ აღარავის გახსენებია, რა კრიტიკის საგანად იყო ქცეული თექვსმეტი წლის შვილის 22 კაციანი შემადგენლობაში ჩასმა. შიგადაშიგ, მწარე ენები მაინც არ იზლიდნენ თავისას, ამბობდნენ, თუ ასე უნდოდა, სხვა დროს ნაყვანას სასურველი, თამაშიც კი არ გვინახავს მისიო და ახლა რა ხდება, ასეთ დაძაბულ დროს, ასეთი კულმინაციის პირისპირ, ბავშვს ეძახის მოედანზე გასაყვანად, რამდენი შემტევი, გამოცდილი, ძლიერი ფეხბურთელი უზის სათადარიგო სკამზე და ნუთუ ახლა ექსპერიმენტების დროა, მაგრამ სადაც აქამდე მოვიდა ეს კაცი, იცის ალბათ, რასაც აკეთებს. მაშინ რას იფიქრებდა ხალხი, მამა-შვილის ორნუთიანი დიალოგი, იქვე, სარბენ ბილიკზე, მსოფლიო ჰიტად თუ გადაიქცეოდა. რატომ უნდა აიფაროს პირზე ხელი, არაფერი აქვს დასამალი, თან ახლა ეს სულაც არ ანაღვლებს, დაე, აფიქსირონ და შიფრონ კამერებმა, რას ურჩევს მამა შვილს, როდესაც ასეთ საპასუხისმგებლო დროს, ბოლო წუთებს აძლევს მატჩის ბედის გადასაწყვეტად.

„ხომ არ გეშინია, ბიჭო? გატყობ, ნერვიულობ ცოტას, თუ ოდნავ მუხლები გიკანკალებს, არაუშავს. არანორმალური უნდა იყო ადამიანი, ეგ რომ არ გემართებოდეს ამ დროს, მაგრამ ვიცი, როგორც კი ბურთს შეეხები, მაშინვე დავიწყებას მიეცემა ყოველგვარი რისკი. მხოლოდ ის არ დაგავინყდეს, სად, რისთვის და ვისთვის შემეყავხარ იქ. ეს უკვე აღარც ფეხბურთია და აღარც თამაში, ეს გაცილებით მეტია. საქართველოსთვის ბრძოლაში გიშვებ, მის გასამარჯვებლად, მის გასახარად და საიდებლად, იცოდე. ასე არ მოვიქცეოდი, რომ არ მჯეროდეს შენი, ასეთი წუთებისთვის გინახავდი, არავითარ დავებებს არ გაძლევ, ითამაშე ისე, როგორც ბავშვობისას, შენ-

ნული ცეკვები რომ აქვთ გასაგებებელი, ცეცხლს რომ აფრქვევენ, რომ დაფრინავენ სცენაზე და გადარეული რომ ჰქვია მთელი მსოფლიო. მილიონობით ადამიანის გონება ძალაუფლებურად ერთხმად შეჯერდა ამ სინამდვილეზე, მთელი მსოფლიოს თვალი ხომ ახლა ამ მოვლენისკენ იყო მიმართული, რაც ლონდონში ხდებოდა.

სამად-სამი წუთია დარჩენილი, ნეტა ბოლომდე გააძლებინა ამ ანგარიშზე და მერე სიკვდილიც შეიძლება. ღმერთო, რას აკეთებს ეს მართლა შეუპოვარი თავგები, კიდევ იგივეს იმეორებს, მგონი. ერთი, მეორე, მესამე მცველი, მეორე გოლი და გაცილებული სახით, ხელეგნობილი, დიდი აჩქარებით მირბის მამამისისკენ...

„გაიღვიძე! არ დაგაგვიანდეს!“ — რა გაიღვიძე, რის გაიღვიძე, რა ხმა ესმის ნეტა. ეს ალბათ ტრიბუნიდან მსაჯს ეძახის ვიღაც ქართულად, რომ დაამთავროს შეხვედრა, მხოლოდ კომპენსირებული დამატებითი დრო დარჩა და ინგლისელებმა ცენტრიდან უნდა განახლონ თამაში. აი, სასწაული — ინგლისელთა კაპიტანი, იმის მაგიერ, რომ გაათამაშოს ბურთი და შეტევა წამოიწყოს, მონინაღმდეგის მოედანზე ცენტრალურ ნრის ხაზზე მდგომ 16 ნომერს უგორებს უწყინარ, აუჩქარებელ, გამოზომილ პასს. აღარავინ ინძრევა, არც ერთი ფეხბურთელი, ისევე გაირინდა მთელი სტადიონი. დგას 16 ნომერი, ფეხი უდევს ბურთზე და დონჯი აქვს შემორტყმული, შეტევას ხომ არ წამოიწყებს ასეთი ნამოქმედარის შემდეგ. ნავშვობისდროინდელი ერთი ქართული უგემრიელები შოკოლადის კანფეტი იყო — „აბა, წამართვი“ ერქვა, პატარა ბიჭს, ზუსტად ასე დონჯშემორტყმულს ანალოგიურად ედო ბურთზე ფეხი და თავდაჯერებული კეთილი ამპარტავნობით იყურებოდა, იმ შოკოლადის შეფუთვა დაუდგა თვალწინ. აღარავინ აპირებდა თამაშის გაგრძელებას. ყველასთვის ნათელი იყო, რომ ეს ინგლისელთა მხრიდან თავიანთი ჯენტლმენობით გამოხატული, უღამაზესი მარცხის სრული აღიარება იყო. მეტი აღარაფერი დარჩენოდა დაბნეულ შეხვედრის არბიტრს გარდა იმისა, რომ ეცნობებინა მსოფლიოსთვის ახალი ჩემპიონის ვინაობა საფინალო სასტვენით. ასეთი სანახაობის შემყურე, ასეთი ემოციით დამუხტულ ხალხს, რა ძალა შეაჩერებდა, რომ მოედანზე არ გადასულიყვნენ ერთიანად, არიან ყველაფერი, ეხუტებიან ფეხბურთელებს, ნაგებულებსაც და მოგებულებსაც, ჰერში აბურთავებენ ზევით-ქვევით. მერე თვალეებით ბავშვს ეძებს და ვერ პოულობს, შიშობს ზედმეტი მოფერებით არ ატყინონ არაფერი. ამ ბუმბერაზ კაცს აქ არა უნდა, ის ხომ დიდი ხნის გარდაცვლილია უკვე, თან რას იმეორებს ამ ოთხი ათეული წლის წინათ ნათქვამ სიტყვებს: „პრედსტავლაიუ ჩტო ტვარიტსა სირას ვ ტბილისი“ — ნუთუ სხვა ახალი ვერაფერი მოიფიქრა. მერე მსაჯს დაინახა, ახლოს მივიდა და რა ხედავს, თავის დირექტორი შერჩა ხელში, კი მაგრამ, მსაჯი თუ ახალგაზრდა ქართველი კაცი იყო და თანაც ისიც თავისი დირექტორი, რაღას ნერვიულობდა ამდენს, კინაღამ რომ გული გაუსკდა, ეს რომ სცოდნოდა ხომ მშვიდად იქნებოდა.

„ადექი, შე კაცი, არ გესმის? სამსახურში დაგაგვიანდება“ — ახლა უკვე ნათლად ჩაესმა ნაცნობი ხმა. თითქოს რაღაცას ვერ თმობდა, იძულებით, ნელ-ნელა გაახილა თვალი.

„ფუ, სიზმარი ყოფილა, ამის დედაც“ — უცბად გააცნობიერა და საძინებელში, სანოლის პირდაპირ 33 წლის წინათ კედელზე ლურსმნით დაკიდებულ ბუცებს მიაპყრო მზერა.

— რას ხედავდი ასეთს, ბედნიერი ღიმილი არ გშორდებოდა სახიდან, დამენანა შენი გაღვიძება.

— ხო, საქართველო მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

— ამჯერად რამდენი გოლი გაიტანე, შე საცოდაო, შენ?

— არა, ახლა მწვრთნელი ვიყავი და ხომ იცი, ვინც გაიტანდა ჩემს გაუტანელ გოლებს.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, მაგის მეტი რა ვიცი.

— ჰო, მაგრამ იცოდე, ეს მარტო სიზმარი არ ყოფილა, ეს სიზმრად ნანახი წინასწარმეტყველება იყო, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად ასრულდება და ახდება...



დედასაბუთებზე გუთანი ჩააგდეს წყალში და შიგ შეეხებინა.

გუნდი მღეროდა:

„ალარ გვინდა გორახი, ღმერთო, მოგვეცე ტალახი.“

ვაჟიკა ზემოდან უცქერდა მავედრებელთა პროცესიას. მერე ცხენს აღვირი წაუყარა და ქვემოთ დაემთა. ქვემოთ იყო მზით გავარვარებული ტაფობი, გორშელმით — მხეცის ზურგივით მნითური ბორცვები, თითქოს განგებ რომ დაეზვინა ვიღაცას ნათხარი მიწისაგან; შორეთში ჩანდა ჩამოქვიშული კლდეები და სურათად ნაქნარი მოლიბრო მთები. სიციხის ალბი ავარვარებდა, აშანთებდა წყალს და ალიც ისე პარპალებდა, გეგონებოდა, მდინარეს ცეცხლი ეკიდა. ცხენი ყმუყუნით და ფრთხილვით მისდევდა მხედარს, ქვემოთ კი ისევ ისმოდა ხმაშეუნწყობელი ლაღალი:

„ალარ გვინდა გორახი...“

ორი დღის წინათ, როცა გაზეთის რექტორმა სამივლინებო ფურცელზე ხელი მოუწერა. ვაჟიკას არ ეგონა, თუ დავალება ასე გაუწმენდებოდა.

„ამხანაგო, ეცადეთ, კომუნის ცხოვრება ობიექტურად აღწერეთ. დაიმახსოვრეთ: ნუ მიცვლენ ჩვენს იდეოლოგიურ მტრებს საბაზს, დასცილონ სოციალიზმის მიღწევებს. კოლექტივი დიდი ძალაა და ის უფრო მეტი სიხარულით იზიდავს ადამიანს, ვიდრე სექსუალური პარტნიორი, — მან ნაგანი გაუწოდა კორესპონდენტს, — გამომართვით, დაგჭირდებათ. გზა უხიფათო როდია, კომუნისტი კი შეიარაღებული უნდა იყოს და არა მარტო იდეოლოგიურად.“

ვაჟიკამ მოლარისაგან სამივლინებო თანხა მიიღო და დეპოში წავიდა, რათა ორთქლმავალს მუხრანამდე გაჰყოლოდა. იქ მეფორნისაგან ცხენი იქირავა და კომუნის გზას დაადგა.

„ღმერთო, მოგვეცე ტალახი...“

ცხენი წყალს დაენაფა და მონდომებით სვამდა. წყალი გამჭვირვალე იყო, კამკამა. თითოეული კენჭი მკაფიოდ დაითვლებოდა. ქალებს გუთანი გაღმა გაეტანათ და სველ კაბებს ინურავდნენ. ვაჟიკა ღმილით უცქერდა აკალთავებული ქსოვილიდან გამომკრთალ თეთრ ბარძაყებს, მერე მდინარეს დაუყვავა ფონის საძებრად. ბილიკის გასწვრივ ველური პიტნა ჩაშავებულიყო. ბაყაყები ტმუკაობით ხტებოდნენ თავთხელში. ისმოდა მათი ნელი, თითქოს გაფიქვინებული კრუალი. წყალი აქ ფონგაუვლელი იყო. უფრო ქვემოთ მოუწევდა ძებნა. ვაჟიკამ ცხენი ბილიკიდან გადაიყვანა და დადრეკილი ტირიფის ქვეშ ჩამოჯდა და სასვენებლად. წყლიდან სიგრილე დიოდა. გაღმა სოფლოვანი ჩანდა. ის თუ იყო კომუნა? უცებ მინა შეტოკდა, შეზანზარდა.

„მეჩვენება, ალბათ, დამსიცხა...“ მინა თითქოს იბურცებოდა, მალლა ინევდა და ვაჟიკას ეგონა, გაირღვევა და თან ჩამიტანსო, მაგრამ არაფერი მომხდარა. შალუციანცია. სიციხის აბრუნდი. გადაღლის ბრალია. ექიმს უნდა ეჩვენოს. კომუნაში წამოსვლაც ნამდვილად არგებს. ორიოდ დღით სულს მაინც მოითქვამს ქალაქური სიციხისაგან. სადღაც ლაჟო აკუნესდა. სინყნარე იყო. კომუნა იზიდავს. იგრძნო, ვითომ ტანი ერღვეოდა. გაღმა უნდა გავიდეს.

წყალდაწყალ გატოპა მდინარე და შვებით ამოისუნთქა, როცა სოფლის მისადგომთან შაოსანი დედაბერი ნახა, რომელიც ბოსტანს მარგლიდა. ვაჟიკამ კომუნის გზა ჰკითხა.

„შორს არი, დედი?“

დედაბერი ტუჩზე თითმიდებული უცქერდა, როგორც შაოსან მოხუცებს სჩვევიათ ხოლმე.

„ბეითალი მეგონე, — უთხრა მერე, — კომუნაში რისთვის მიდიხარ, შვილო?“

ვაჟიკამ უთხრა.

„ეჰ, ჩვენს გაჭირებას კი არაფერი ეშველა და...“

„რა გაგჭირებიათ?“ — ჰკითხა ვაჟიკამ და ცხენს ლაგამი გაუსწორა.

„თხუნელა შემოგვეწვია და სიცოცხლე გაგვიმწარა, მაგ ვერანამ, მაგანა, ალარ ვიცით, თავი რა წყალს მივცეთ.“

„როგორ, თხუნელამ შეგამინათ?!“

„ჰო.“

„განა თხუნელამ რა უნდა გავნოთ, ალბათ, ბოსტანს თუ გიფუჭებთ.“

„ერე ნუ იტყვი, სასტიკი და მძვინვარე მხეცია. ნეტა მარტო ბოსტანს გვიოხრებდეს. აკი ბევრი სოფელი აყარა მაგ წყეულმა.“

„ხუმრობ, დედი?! თხუნელამ რა უნდა გიყოთ?“

„ჩემი თუ არ გჯერა, აი, ჩემ ბიჭს ჰკითხე, ეგ გეტყვის სიმართლეს.“

ბოსტნის უკნიდან „ბიჭი“ გამოჩნდა — ორმოციოდ წლის გლეხი, ზურგზე ტომარამოკიდებული. მან დედაბრის ნათქვამი დაადასტურა და ვაჟიკა შინ მიიწვია.

„კომუნამდე დღეს ვერ მიხვალ, დარჩი, დაისვენე.“

„მეჩქარება, მივლინებით ვარ.“

„სალამომდე მაინც დარჩი. მერე მეგზურს გაგაყოლებთ, თორემ მარტო გზას ვერ გაიგვინ.“

ვაჟიკას გონივრული ეჩვენა დედაბრის შვილის რჩევა და შინ გაჰყვა. კაცმა ცხენი საჩხში დააბა, ვაჟიკას კი საკუჭნაოს მსგავს ოთახში გაუშალა ლოგინი. კორესპონდენტი საწოლზე მიეგდო და მაშინვე წასთვლიდა. როცა გამოეღვიძა, უკვე ღამდებოდა. ეწყინა მასპინძლის უდიერობა, დროულად რომ არ გააღვიძა, გიმნასტურა ჩაიცვა და ნაგანიც ქამარში გაიჭყო. ცივი ლითონის სიგრილე ესამოვნა. გარეთ გამოვიდა და მასპინძელიც დაინახა — შუკადან ეზოში შემოდიოდა.

„ხალხს შენი ნახვა უნდა.“

„ხალხს?!“

„ამ დღით მწყემსებს თხუნელა უნახავთ სერზე. ამიტომ სოფლიდან გასვლას

ყმანვილმა მწყურვალევით მიიხედა ხალხისაკენ და ყელი დაეძაგრა დაძაბულობისაგან. „იქნებ მართლებიც არიან... რას გაიგებ.“ მაგრამ თხუნელამ როგორ შეაშინა ამხელა კაცები? კომუნის მტრებს როგორღა შეებრძოლებიან, თუკი მინის მთხრელ პატარა ცხოველს ასე დაუზაფრავს ისინი?

„გვინახავს, ვიცით, საშიში მხეცია,“ — აქეთ-იქით ქოროდ გაისმა ბრბოში.

„რა გინახავთ, ხალხო, — დაიყვირა ვაჟიკამ და ხმაში დაცინვა გაერია, — სირცხვილია, თხუნელა რომ გაშინებთ! კაცები არა ხართ?“

„ამხანაგო, ჩვეულებრივი თხუნელა არ გეგონოთ, — დაუძახა ვიღაც ბერიკაცმა პასუხად, — ის დიდი და ვერაგი მხეცია, ლამის ლომის ოდენა.“

ვაჟიკამ ხელი ჩაიქნია და მიბრუნდა, მაგრამ კომკავშირელმა ყმანვილმა ხელი გაავლო.

„ამხანაგო, ნუ მიგვატოვებთ! რაც არ უნდა იყოს, მთავრობის წარმომადგენელი ხართ, ხალხი ანუგეშეთ!“

„გეშლებ, ამხანაგო, მე გაზეთის კორესპონდენტი ვარ; მართალია, სამთავრობო გაზეთის, მაგრამ არაფერი შემოიძლია.“

„შეგიძლიათ ხალხის გასაჭირი ხელისუფლებას მოახსენოთ.“

„დამცინებენ, თავს გავიმასხრებ! რა

ვაჟიკამ სინდისის ქენჯნა იგრძნო. პატარა ღმერთის. ყველას რომ უზის სულში. მაგრამ პარტიულ მუშაკს არ შეეძლო ასე ფიქრი. უფრო მართებული იქნებოდა, ამისათვის სიბრალული დაექმნა. ჩაგრულთა მიმართ თანაგრძობა. მათთვის თავგანწირვის სურვილი. რევოლუციაც ხომ ეგაა — სხვისი ბედნიერებისათვის ბრძოლა და თავგანწირვა! ვაჟიკამ ახლა მტკიცედ იცოდა, რომ თხუნელას შეებრძოლებოდა და თხუნელა მას დატყვევდა. მან კედელზე ლოზუნგებს შეხედა. იქიდან მოჩქროლავდა იდუმალი ძალა, რომელიც იპყრობდა, თანგავდა...

„ამხანაგებო, ჩვენ აქ მნიშვნელოვანი საკითხის გამო შევიკრიბებით.“

თავისივე ხმა გაუბედავად, უმტკიცოდ ჩაესმა. ვაჟიკამ ჩაახველა და უფრო თამამად განაგრძო:

„დღის წესრიგშია ერთი პრობლემა — როგორ ვებრძოლოთ კონტრრევოლუციურ ჰიდრას!“

„თხუნელას, ამხანაგო!“ — შეუსწორა სოფლის მასწავლებელმა, დაფშალულმა ბერიკაცმა, წინწამოხრილი რომ იჯდა და კორდიან ჯოხს ეყრდნობოდა, თითქოს ესესაა წამოიქცევია.

„ეგ ერთი და იგივეა, ამხანაგო, რადგან მჯერა, რომ თხუნელა სწორედ კონტრრევოლუციურმა მტრებმა მოგვიგზავნეს.“



ზურაბ ლავრელაშვილი  
**თხუნელა**

ველარავინ ჰბედავს. ჩვენ კი თივა გვაქვს ჩამოსაზიდი. დროულად თუ არ ჩამოვზიდეთ, საქონელი შიმშილით დაგვინყდება ზამთარში. ვინძლო შენც აქ მოგინოს კაი ხნით დარჩენა.“

„როგორ თუ დარჩენა, თხუნელას გამო?“

„ჰო.“

„მგონი, მამასხრებთ, ამხანაგო, ნუ დაგვინყდებით, რომ პარტიული მუშაკი ვარ.“

„თხუნელამ პარტია არ იცის, ამხანაგო, თუ სადმე გადაეყარე, მორჩა, მოგჭამა ჩირი — ვერ გადაურჩები.“

ვაჟიკას მაინც ვერ დაეჯერებინა, ვერ ერწმუნა აქაურთა შიში, და შეყოყმანდა, მერე კი მაინც გაჰყვა მასპინძელს. მოედანზე სოფლები ელოდნენ. ვაჟიკა კრებას მიუახლოვდა.

„ვეტექიმი, ვეტექიმი, — ჩაირბინა ხალხში ჩურჩულმა. ვაჟიკა შეჩქვიფდა. რად ჰგონიათ, რომ ვეტექიმი? ნინ მდგომმა ყმანვილმა, როგორც ჩანს, სოფლის კომკავშირის მეთაურმა, როყოდ ჰკითხა: „ამხანაგო, ხელისუფლებამ გამოგზავნა?“

„თქვენთან არა, კომუნაში მივიდვარ, სტატიის დასაწერად“

„იქნებ ჩვენი გასაჭირიც მოიხსენიო...“

„რა გასაჭირი: გვალვა თუ მოუსავლიანობა?“

„უარესი, ამხანაგო, თხუნელა...“

ვაჟიკა გაბრაზდა.

„ამხანაგო, ტყუილი არ გეკადრება, კომკავშირელი ხარ!“

„დედას გეფიცებ... — ცხარედ ნამოიძახა ყმანვილმა და სიტყვა გაუწყდა, — თხუნელა მართლა გვიტყვს, აკი მწყემსებსაც უნახავთ ამ დღით.“

ვუთხრა, აქაურები თხუნელამ შეაშინა-მეთქი?“

ვაჟიკა მასპინძლის ქოხისაკენ გაემართა. ყმანვილი მიჰყვა. ვაჟიკა სწრაფად მილაჯებდა და ბიჭი სირბილით მისდევდა.

„ამხანაგო, თქვენთვისაც საშიშია მგზავრობა, სოფელს თუ გასცილდებით, თხუნელა აუცილებლად მოგაგნებთ.“

„მერე?“

„იმხელაა და ისეთი ლოჯები აქვს...“

„სირცხვილია, ამხანაგო!“

„დარჩით, სოფელი დაიცავით, იარაღი ხომ გაქვთ?“

„თოფები თქვენც გექნებათ.“

„ჰო, მაგრამ ვერავინ ბედავს თხუნელაზე ნადირობას.“

„კარგი, სხვებსაც დაუძახე.“

სოფლის კლუბში, სადაც ალბათ, სააგიტაციო კრებები იმართებოდა, კედლები ტრანსპარანტებით იყო მორთული. ზედ ნითელი ასობით ეწერა: „სიკვდილი კონტრრევოლუციურ ჰიდრას! გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა კავშირს! არ დავთმობთ რევოლუციის მონაპოვარს!“ კედლის გასწვრივ გრძელი ძელსკამები იდგა, რომლებზეც სოფლის საპატო დროული კაცები ისხდნენ. ვაჟიკას, როგორც სტუმარს, მაგიდის თავში დაუთმეს ადგილი. ყველა მონივნებით შესცქეროდა. ვაჟიკამ უხერხულობა იგრძნო. ისე გამოდიოდა, რომ სოფლებზე უთქმელად აღიარეს თავკაცად და მისგან ელოდნენ ხსნას. რა აძლევს მერე ბელადის მანდატს? პარტიული მუშაკის ნითელი ნიგნაკი თუ ის, რომ იარაღი აქვს? მეორეს მხრივ, ამ აღიარებაში იყო მზაკვრობაც, რადგან ისეთ რამეს ავალდებულებენ, რაც არ ევალბა — ის ხომ სულ სხვა საქმეზე მიდიოდა და ამ სოფელშიც შემთხვევითაა! ვითომ შემთხვევით?

დარბაზში გაკვირვების ოხვრა გაისმა. მართლაც, აქამდე ხომ ვერავინ იფიქრებდა, რომ თხუნელას ოინებს მიღმა რევოლუციის მტრების მზაკვრობა იმალებოდა! მაშასადამე, სოფელი არ შემცდარა, თავკაცად სტუმარი რომ დაადგინა!

„იმ ზომის თხუნელა, თქვენ რომ ნახეთ, ბუნებრივად არ არსებობს, შეუძლებელია, არსებობდეს... ის მტრების ხრიკია, ამხანაგებო, უეჭველია, მათ რაღაც დანადგარი აქვთ, რითაც მინის ქვეშ გვირაბები გაჰყავთ.“

დარბაზს ისევ ოხვრა დასცდა. მასწავლებელმა გაპროტესტება სცადა, მაგრამ ვაჟიკამ მოწმეთა დაძახება ბრძანა. მათი მონაცოლი ვაჟიკას ვარაუდს არ ემთხვეოდა. მწყემსებს ხომ ცხადად ენახათ შვემონითალო მხეცი, ბურთივით რომ ამოვარდნილიყო მინიდან და ჰაერში შეთამაშებულიყო. ნამდვილად თხუნელა იყო. მოწმეები ამას ადასტურებდნენ. ბრჭყალებიც ჰქონდა და დინგიც. ვაჟიკა არ დაინბა.

„ეს საკითხის არსს როდი ცვლის, ამხანაგებო. რა მიზნით გვიტყვს მხეცი? მას ჩვენი განადგურება უნდა. მაშასადამე, კონტრრევოლუციურ მიზანს ემსახურება.“

მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვა გაგრძელდა. როგორც გაიკვია, თხუნელა მიზანდასახულად და ვერაგულად მოქმედებდა. უშუალოდ სოფელს არ ერჩოდა, მაგრამ საკმარისი იყო, აქაურებს გასცლოდი და მყისვე მოსვლიდა დაგატყვევებდა.

„ჩვენი შეკავშირება აუცილებელია. ცალ-ცალკე თხუნელა მოგვერევა, მაგრამ კოლექტივის ვერაფერს უზამს.“







ზურაბ ლავრელაშვილი

# თხუნელა

დასასრული

ვაჟიკამ სოფლებს თხუნელასთან ბრძოლის გეგმა გააცნო. უნინარესად, სოფლის გარშემო მზირები უნდა დაეყენებინათ. გუშაგები განსაზღვრულ ადგილებზე იდგებოდნენ და ასევე განსაზღვრულ საათებში შეიცვლებოდნენ. ვაჟიკა სახალხო ლაშქარს უხელმძღვანელებდა. მოხალისეები ახლავდნენ შეიკრიბებოდნენ და თოფებსაც მოიტანდნენ. ვაჟიკამ კრება ჰეროიკული სიტყვით დაასრულა:

„ამხანაგებო, თუ ჩვენივე ძალით ვერაგ მტერს ვერ მოვერეით, რას იტყვიან დედაქალაქში?! რომ აქ რევოლუციის მტრებს ვალადებთ?! სირცხვილია...“

სირცხვილი — აი რა იყო სინდისის ძალა... ეზოში უკვე თავი მოეყარათ მოხალისეებს, რომლებსაც დედები, ცოლები, დები აცილებდნენ, თითქოს ისინი მართლა საომრად მიდიოდნენ. მამხალისეების შუქზე აქა-იქ ჩნდებოდა ვაგლახად დაღრეჯილი პირი, შეშინებული თვალები, აბურძგვნილი ქოჩორი... ვაჟიკას სიკვდილის არ ეშინოდა, თუმცა სოფლის იქით კუნაპეტი ღამე იყო, განუჭვრეტი. ის მოხალისეებს სოფლის მოსადგომებისაკენ გაუძღვა და წინასწარი შეთანხმების მიხედვით, ყარაულები დააყენა. საგუშაგოებთან ხერგილებიც აღმართეს. ვაჟიკა ხერგილიდან ხერგილამდე სარდალივით მიმოდიოდა და ყარაულებს ამხნევებდა, არ ჩასძინებდათ.

„ფხიზლად, ამხანაგებო, მტერი არ მოგვეპაროს...“  
მტერი კი, როგორც ჩანს, არც აპირებდა, სოფელს თავს დასხმოდა. გამოჩნდება კი საერთოდ? იქნებ ლოდინი უსასრულოდ მოუწიოთ? ერთი-ორჯერ ვაჟიკას მოეჩვენა, თითქოს ფეხქვეშ მინა იძრა, მაგრამ ეს ცრუ განგაში იყო. „მოდი, დამენახე,“ — ჩურჩულით უხმობდა მხეცს, რომელიც ახლა უყვარდა კიდევ. ის მოვა, აუცილებლად მოვა. ნაგანს თითებს უჭერდა და დაულაღავად იარებოდა საგუშაგოდან საგუშაგომდე, და ვერც კი მიხვდა, როგორ გასცდა სიბნელეში ხერგილს და ახლა მარტო იყო ტრიალ მიმდროში. ღამე იცრიცებოდა. ვაჟიკას ნამისაგან შეამცივნა და უცებ ცხვირწინ ნათხარი ზვინული შენიშნა. გრძელ ნაპრალში რალაც ბორბავდა. ვაჟიკამ სოფლისაკენ მიიხედა, მაგრამ საგუშაგოს ძალზე დაშორებოდა და დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა. ნაგანი მოიმარჯვა და ზვინულს მიადგა. ზვინულიდან მხეცის ყომრალი ზურგი ამოჩნდა. ვაჟიკამ ნაგანი დაუმიზნა, მაგრამ სასხლელს თითი ვერ გამოჰკრა, რადგან სიცივისაგან სახსრები თითქოს გახევებოდა.

„მოდი, ვაჟიკავ, ნუ გეშინია,“ — მოესმა მერე მხეცის აღერსიანი ხმა და ვაჟიკაც ყინულის ლოდევით დადნა თითქოს, მოიმჩვარა, ცრემლი ღაპა-ღუპით წამოუვიდა.

მხეცმა კი უთხრა:  
„ქამარი მჭიმნედ შემოიჭირე, ვაჟიკავ, და მატარებელში ნუ ჩაჯდები, რადგან წმინდა გული გაქვს, თუმცა სიშიშვლე გზარავს. მოდი, ჩამეხუტე.“

ვაჟიკას აღარ ახსოვდა, როგორ დაბრუნდა უკან. მთვარეულივით იყო. არავის ელაპარაკებოდა და არავის უსმენდა. სოფლის კლუბში ჩაიკეტა და კარზე გარედან განცხადება გააკრა, ტყვიით შუბლს გაუხვრეტ ყველას, ვინც აქ შემოსვლას გაბედავსო. ის ახლაც იქ ზის და სოფლები ფანჯრიდან აწვდიან საჭმელს. ვაჟიკა კვლავინდებურად არავის ელაპარაკება, თუმცა ზოგჯერ სარკმელში გამოიხედავს ხოლმე, თითქოს ვინმეს დამოძღვრა სურსო. სახეზე კი ისეთი დალილობა აქვს, როგორც დილის თერთმეტ საათზე გახევებულ ადამიანს.

ხანდახან სოფლის მასწავლებელი სტუმრობს, ფანჯრის ქვეშ დგება და ხელნაწერს უკითხავს. ეს არის ნაშრომი გიგანტური თხუნელას შესახებ და მის გამოქვეყნებას მასწავლებელი სამეცნიერო ყურნალში აპირებს. ვაჟიკა უსმენს და ცრემლი ღაპა-ღუპით სდის. მოხუც მასწავლებელს კი ფრიად აცბუნებს ამგვარი გულჩვილობა და ხელნაწერს საქალაქში მალავს...

## მარინა ცვეტაევა

ახალ წელს შიშველი მიტოვებული

ახალ წელს შევხვდი მიტოვებული, ალქატად ვიქეც მირონცხებული, ფრთებგამოსხმული — ვიქემენ წყეული! სადღაც ძველ ღვინოს სვამდა კრებული და ხელს ართმევდნენ ერთურთს წვეულნი, ფრთებგამოსხმული — ვიქემენ წყეული! ერთ დროს მთლიანი — მიტოვებული, ვით სარკმლის შიგნით მთვარე ეული.

### ვაცქარდები მღვრიე სარკეს

ვაცქარდები მღვრიე სარკეს, ძილ-ბურანით გამსუდრავს, საით მიხვალ, გამოვარკვევ, დავეძებნი შენს საყუდარს.

ვხედავ: გემის ანძის დვირეს, გემბანზე ხარ... რონოდის კვამლში... ვატყობ ზინდში მინდვრებს რალაც ცუდის მოლოდინს...

დაცვარულან ველნი მწუხრის, მაღლა ფრენენ ყორნები... გზას გიკურთხებ ოთხივ კუთხით, თუკი განმემორები!

### მხეცს — სამალი

ალექსანდრ ბლოკს

მხეცს — სამალი, მგზავრს — სავალი, მკვდარს — საფლავი, განანესით.

ქალი — ქლესვით, მეფე — ძლევი, მე — შემსხმელი შენი ლექსით.

### ყოველი ლექსი ტრფოვით იშობა

ყოველი ლექსი ტრფოვით იშობა, ლატაკია და კანონგარეშე. ის ბორბლის კვალთან მწოლი პირმშობა, თაყვანი რომ სცეს ქარს მოთარეშეს.

სამსხვერპლოცაა გულის, ქვესკნელიც, სამოთხის ბალიც, მისი მძრახველიც. ნეტავ, ვინაა მისი შემქმნელი? ეგებ — მეფეა, ეგებ — ავხელი.

### მაშინდელ ლექსებს...

მაშინდელ ლექსებს, ჯერ ნაადრევი ჩემთვის რომ იყო მგოსნის სახელი, როგორც ანასხლელტ წინწკლებს შადრევნის, ანდა ნაპერწკლებს აჭრილ მამხლებს,

ჭინკებად შეჭრილთ საყდრის სიღრმეში, არეში თვლემის და ლადანონის, სიკვდილის, ყრმობის შემსხმელთ სიმღერით, მსმენელს რომ არ აქვს ჯერ განაგონიც,



მალაზიათა მტვერი რომ ფარავთ და მოელიან მკითხველს მუდართ, დრო მოვა, ძვირფას ღვინოთა დარად, გამოუჩნდება თვისი მუშტარი.

### სული და სახელი

სანამ მეჯლისი ლაღობს ნათელით, სულს ბობოქარი გზნება თაოსნობს; სხვა დამანათლა ღმერთმა სახელი: საზღვაოსნოა ის, საზღვაოსნო!..

ვალსის ტრიალს სდევს ნაზი ოხვრები, თავს არ მანებებს სევდა სამგოსნო, ღმერთმა სხვა ნატვრა მომცა ცხოვრების: საზღვაოსნოა ის, საზღვაოსნო!..

დარბაზი ხალხით შემონაჯარი ზიმზიმებს, მღერის, ელავს, ჯადოსნობს: ღმერთმა ჩამიდგა სული სხვაგვარი, საზღვაოსნოა ის, საზღვაოსნო!..

### ვერ იცურებს გემი მუდამ

ვერ იცურებს გემი მუდამ, მიწყევ ვერც ბულბული მღერის, ო, რამდენჯერ მსურდა სულდგმა და ვნატრობდი სიკვდილს ბლვერით!

ლოტო მღლიდა, ვით სიყრმეში, თამაშს დავამთავრებ ადრე, ბედნიერი იმის რწმენით — სულდგმა არ ჩქეფს ცაში სადმე.

თარგმნა ოთარ ცისკაძე



# ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო  
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940



9 772346 794004